



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო

ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ფონდი

ახალგაზრდა მეცნიერთა V ინტერდისციპლინური
კონფერენცია
(სოფ. სნო, 11-13 მაისი, 2018)

მასალები

თბილისი
2019

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სიორიძე (თავმჯდომარე)
მარინე შავლაყაძე (თავმჯდომარის მოადგილე)
ზურაბ ბარათაშვილი (სწავლული მდივანი)
ვლადიმერ ბარამიძე
გიორგი ბერიძე
ლელა გიგლემიანი
ბაგრატ გოდიბაძე
თამაზ დათუნაშვილი
გიორგი ვეშაპიძე
ოთარ ნიკოლეიშვილი
იმედა რუბაშვილი
თამრიკო სუპატაშვილი
ალექსანდრე სხირტლაძე
თენგიზ ტეტუნაშვილი
ლევან ტიელიძე
მარინე ტურაშვილი
ლალი ყრუაშვილი
ანა ჩუტკერაშვილი
ვახტანგ ჭარაია
ლევან ჯიქია

კრებულში დაბეჭდილი მასალების შინაარსსა და სტილზე
პასუხისმგებლები არიან ავტორები.

© საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ISBN 978-9941-8-0915-6

შინაარსი

ჰუმანიტარული მეცნიერებები.....	11
მარვან (მურვან ყრუ) იზნ მუჰამადის ლაშქრობა კავკასიაში.....	11
<i>გურამ ლეგაშვილი</i>	
ქართველთა დენაციონალიზაციის პროცესი XVIII საუკუნეში ...	15
<i>ანა დოლიძე</i>	
ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.....	17
<i>გიორგი თანიაშვილი</i>	
სახელმეკრულებო სამართლის უნიფიკაციის ტენდენციები და მისი როლი ქართული კერძო სამართლის ევროპეიზაციაში.....	19
<i>გიორგი ამირანაშვილი</i>	
ოჯახური ძალადობა	22
<i>მარიამ კურტანიძე</i>	
არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი საქართველოში	25
<i>მეგი კაკლაშვილი</i>	
მეტყველების თავისებურებანი პოლიტიკურ ტექსტში (ლევან ბერძენიშვილის პოლიტიკური გამოსვლების ანალიზის საფუძველზე).....	27
<i>მარიამ ნავაძე, ელენე ქადაგიშვილი</i>	
პოლიტიკური დისკურსის ცნება და მისი პრაგმატიკული ანალიზი (პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლებზე დაყრდნობით).....	29
<i>მარიამ რუხაძე</i>	

ქალისა და მამაკაცის მეტყველების თავისებურებანი ქართულში	30
<i>ნინო ზედგენიძე</i>	
კომპიუტერით გაშუალებული კომუნიკაცია ასინქრონული ფეისბუქმეტყველების ანალიზი და მისი კომპიუტერულ მოდელირებასთან დაკავშირებული პრობლემები	32
<i>მარიამ მათიაშვილი</i>	
პირის ნაცვალსახელები ქართულსა და აფხაზურ ენებში	34
<i>მონიკა ხობელია</i>	
ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია	37
<i>ნათია კენჭიაშვილი</i>	
ანთროპონიმთა ცვალებადობა XX საუკუნეში.....	41
<i>თეკლა ჭინჭარაული, სალომე კახეთელიძე</i>	
„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელების ეტიმოლოგიისათვის	44
<i>სალომე ამირხანაშვილი</i>	
ენის კორპუსის ბაზაზე ჩატარებული კვლევების მნიშვნელობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში	46
<i>თამარ ლომაძე</i>	
ლინგვისტიკა და სტრუქტურული პოეტიკა: ოთარ ჭილაძის ლექსის „შენა ხარ ჩემი ჯილდოც“ სტრუქტურული ანალიზი	48
<i>ანა გოგოლაძე</i>	
რიცხვთა სიმბოლური დატვირთვა „ვეფხისტყაოსანში“: 5, 7, 12	50
<i>გაბრიელ თავაური</i>	

პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის ანარეკლი	
„ვეფხისტყაოსანში“	53
<i>გიორგი კახიშვილი</i>	
შვიდიანის სიმბოლური დატვირთვა ლიტერატურაში.....	55
<i>მარიამ რაქვიაშვილი</i>	
ზღაპარი, როგორც მეტატექსტი და მისი რეფლექსია	
თანამედროვე რომანში	57
<i>ნინო მალუტაშვილი</i>	
„ხელმწიფის კარის გარეგების“ ეთნოგრაფიული ასპექტები	58
<i>თამარ დიდებაშვილი</i>	
ხალხური ავეჯი ხევის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში XIX-XX სს.	
მიჯნაზე.....	62
<i>ნუნუ ხარაიშვილი</i>	
მოსხვე ქალის ჩაცმულობა (XIX-XX სს.)	66
<i>მარიამ ხინთიბიძე</i>	
ქართულ ხალხურ სიმღერებთან დაკავშირებული თქმულებები და	
მათი მნიშვნელობა ფოლკლორში	70
<i>ბექა კოვზიაშვილი</i>	
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	72
მრავალკუთხედებისა და მრავალწახნაგების ტრიანგულაციები	72
<i>შალვა ბერიაშვილი</i>	
ურანგო სკოლემიზაცია	73
<i>ლია კურტანიძე</i>	
მცირე სიმრავლეები ალგებრული ჯამების მიმართ	74
<i>ლიკა ბერაია</i>	

სიურექციული ჰომომორფიზმების მეთოდი და გამოყენებები... 76

მარია ხაჩიძე

დინამიკის კოშის ამოცანის შესახებ 77

დიანა ივანიძე, მარეხ ივანიძე

თერმოდრეკადობის თეორიის ნეიმანის ამოცანა

მიკროტემპერატურის გათვალისწინებით 79

თორნიკე ცერცვაძე

გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები ჰიდროტექნიკური

ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე 80

ლევან იოსელიანი

ინჟინერია და ტექნოლოგიები..... 82

ცხელი დანნეხვის პროცესის ზოგიერთი ტექნოლოგიური

პარამეტრის გაუმჯობესების გზები..... 82

თენგიზ ფხალაძე, ზურაბ ავალიშვილი

აგრარული მეცნიერებები 86

საფერავის ფლავონოიდების ეფექტები კაინის მყავას

ეპილეფსიური სტატუსით განპირობებულ ბიოქიმიურ

ცვლილებებზე 86

მაკა ლემონჯავა, ზ. ქუჩუკაშვილი, მ. ქურასბედიანი, ნ. დორეული

ქართული ვაზის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო მევენახეობის

ისტორიაში..... 88

ნანა კუნელაური

ღვარცოფული აუზების კლასიფიკაცია და მათი გავრცელება .. 89

სანდრო საბაშვილი

მაკრო და მიკროელებმენტების როლი ცოცხალ ორგანიზმში	91
<i>მ. გოგალაძე, ნ. პარბაქაძე, ნ. ხურციღავა, ი. ლომთაძე</i>	
Humanity	94
Marwan ibn Muhammad's Campaign in the Caucasus	94
<i>Guram Legashvili</i>	
Georgians' Denationalization Process in XVIII Century	98
<i>Ana Dolidze</i>	
Jurors' Institute	100
<i>Giorgi Taniashvili</i>	
Trends of the Unification of Contract Law and its Role in the Europeanization of Georgian Private Law	101
<i>Giorgi Amiranashvili</i>	
Family Violence	104
<i>Mariam Kurtanidze</i>	
Juvenile's trafficking in Georgia	106
<i>Megi Kakalashvili</i>	
Speech Peculiarities in Political Texts (based on analyzes of Levan Berdzenishvili's political speeches).....	108
<i>Mariam Navadze, Elene Kadagishvili</i>	
The notion of political discourse and its Pragmatic analysis.....	109
(According to the speeches of Mikheil Saakashvili)	109
<i>Mariam Rukhadze</i>	
Man and woman speech peculiarities in Georgian language.....	110
<i>Nino Zedgenidze</i>	

Computer Mediated Communication Analyses of the Asynchronous Facebook Discourse and Its Computational processing problems .	111
<i>Mariam Matiashvili</i>	
The Personal Pronouns in Georgian an Abkhazian languages	113
<i>Monika Khobelia</i>	
History of Scientific Study of Georgian Rhetoric	115
<i>Natia Kentchiashvili</i>	
Changeability of Anthroponyms in XX century.....	119
<i>Tekla Chincharauli, Salome Kakhetelidze</i>	
Towards the Names of the Characters in The Knight in the Panther’s Skin.....	122
<i>Salome Amirkhanashvili</i>	
Importance of Corpus-Based Research in Humanities.....	123
<i>Tamar Lomadze</i>	
Linguistics and Structural Poetics: Structural Analysis of Otar Chiladze’s Poem “You are my reward...”	125
<i>Ana Gogoladze</i>	
The Symbolic Meaning of Numbers in Vepkhistkaosani: 5, 7, 12.	127
<i>Gabriel Tagauri</i>	
Reflection of Allegory of Plato’s Cave in "The Knight in the Panther's Skin"	130
<i>Giorgi Kakhishvili</i>	
Seven as Symbol in Literature.....	131
<i>Mariam Rakviashvili</i>	
Fairytales as a metatext and its reflection in a modern novel	133

<i>Nino Malutashvili, Tamar Didebashvili</i>	
National Furniture in Khevi's Ethnographic Reality during XIX – XX Centuries	139
<i>Nunu Kharashvili</i>	
Clothes of Mokhebian Woman (XIX – XX Centuries)	142
<i>Mariam Khintibidze</i>	
Tales of Georgian Folk Songs and Their Importance in Folklore ..	146
<i>Beka Kovziashvili</i>	
Exact and Natural Sciences	148
Triangulation of polygon and polyhedron	148
<i>Shalva beriashvili</i>	
Unranked Skolemization	149
<i>Lia Kurtanidze</i>	
Small sets with respect to algebraic sums	150
<i>Lika Beraia</i>	
Method of surjective homomorphisms and applications	152
<i>Marika Khachidze</i>	
Cauchy Problem of Dynamical Equations.....	153
<i>Diana Ivanidze, Marekh Ivanidze</i>	
The Neumann problem of the theory of thermodynamics with allowance of microtemperature	155
<i>Tornike Tsertsvadze</i>	
The main environmental principles on construction an operation phase of hydrotechnical structures	156
<i>Levan Ioseliani</i>	

Engineering and Technology	158
Ways for Improvement of Some Technological Parameters in Hot Pressing Process	158
<i>Tengiz Pkhaladze, Zurab Avalishvili</i>	
Agrarian Sciences	162
The influence of flavonoids “Saperavi” on biochemical changes induced by kainic acid-status epilepticus	162
<i>Maka Lemonjava, Z. Kuchukashvili, M. Kurasbediani, N. Doreuli</i>	
The Role and Importance of Georgian Vines in a World Viticulture History	163
<i>Nana Kunelauri</i>	
Classification of mudflow basins and their dissemination	164
<i>Sandro Sabashvili</i>	
The Role of Macro- and Microelements in the Living Organism ..	166
<i>M. Gogaladze, N. Barbakadze, N. Khurtsilava I. Lomtadze</i>	

ჰუმანიტარული მეცნიერებები

მარვან (მურვან ყრუ) იბნ მუჰამმადის ლაშქრობა კავკასიაში

გურამ ლეგაშვილი

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი, 1-ლი კურსი*

საკვანძო სიტყვები: არაბთა ლაშქრობები, მურვან ყრუს შემოსევა

საქართველოში არაბთა პირველი მარბიელი ლაშქრობა 643 წელს განხორციელდა, მაგრამ ქართულმა წყაროებმა საერთოდ არაფერი იციან არაბთა პირველი და შემდეგდროინდელი ლაშქრობების შესახებ საქართველოში. „ქართველთ ცხოვრების“ მიხედვით, არაბთა პირველი ლაშქრობა საქართველოს ტერიტორიაზე მოდის VIII საუკუნის 30-იან წლებზე და დაკავშირებულია მურვან ყრუს სახელთან. თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად მიჩნეულია, რომ მარვანის ასეთი მასშტაბური ლაშქრობის შესახებ საქართველოში არაფერი იციან ბიზანტიურმა, სომხურმა და არაბულმა წყაროებმა. მკვლევართა აზრით, ამ უკანასკნელთა დუმილი შეგნებული იყო, რადგან დასავლეთ საქართველოში განხორციელებული წარუმატებელი სამხედრო კამპანიის მიჩქმალვას ცდილობდნენ არაბი ისტორიკოსებიო. ამასთან, დამატებით არგუმენტად მოხმობილია ის, რომ არაბულმა წყაროებმა ასევე არაფერი იციან X საუკუნის დასაწყისში აბულ-კასიმის (იუსუფ იბნ აბუ ლ-საჯი) ლაშქრობის შესახებ საქართველოში. ამიტომ ქართველი მკვლევრების უმრავლესობა ნდობას უცხადებს ქართველი მემატიაანის ასე დანვრილებით გადმოცემულ ცნობებს. თუმცა აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ქართველ მეისტორიეს გაზვიადებულადაც წარმოეჩინა ზოგიერთი საკითხი.

ქართულ წყაროებზე დაკვირვებამ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული სიახლეების გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „ქართველთ ცხოვრების“ მიხედვით არაბთა პირველი ლაშქრობის ქვეშ გაერთიანებული უნდა იყოს სარკინოზთა რამდენიმე შემოსევის ამბავი. რაც ჩვენი აზრით, დაკავშირებულია, არა უშუალოდ მემატიაანე ჯუანშერ ჯუანშერიანთან (ან თუნდაც ე.წ. ფსევდო ჯუანშერთან), არამედ „ქართველთ ცხოვრების“ ძველი ციკ-

ლის მატყიანეების XI საუკუნეში მოღვანე, ცნობილი რედაქტორ-გადამწერისა და ავტორ-შემოქმედის, მროველი ეპისკოპოსის, ლეონტის სახელთან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლეონტის უხეში რედაქციული ჩარევის კვალი „ქართველთ ცხოვრებას“ სხვა მრავალ ადგილზეც ატყვია.

ჩვენი აზრით, მურვან ყრუს ლაშქრობის ქვეშ გაერთიანებული უნდა იყოს:

- 1) 654 წლის არაბთა ლაშქრობა ჰაბიბ იბნ მასლამას მეთაურობით, რასაც მოჰყვა ე.წ. „დაცვის სიგელის“ გაფორმება.
- 2) დასაშვებად მიგვაჩნია, რომ 668 წელსა და 685 წელსაც უნდა ელაშქრათ არაბებს საქართველოს ტერიტორიაზე და ამ ლაშქრობათა ნიუანსებიც უნდა შესულიყო მურვან ყრუს შემოსევის ამბავში, მაგრამ მწირი ცნობები სიღრმისეული დასკვნების საშუალებას არ გვაძლევენ!
- 3) ყველაზე მთავარი ცნობები, მუჰამად იბნ მარვანის ლაშქრობებს უნდა შეეხებოდეს, რომელიც მარვანის ანუ მურვან ყრუს მამა და ასევე ცნობილი სარდალი იყო. მიგვაჩნია, რომ სწორედ მუჰამადის 704 წლისა და 718 წლის ლაშქრობათა პერიპეტეები აისახა ყველაზე მეტად მურვან ყრუს შემოსევის ისტორიაში.
- 4) ბოლოს კი, თავად მარვან იბნ მუჰამედის 735 წლის საქართველოში ლაშქრობაც უნდა იყოს ასახული მურვან ყრუს შემოსევაში, რაც ქართული წყაროების ცნობათა გარდა, დასტურდება არაბულ წყაროში – ტაბარისთან და ბოლო პერიოდში, გამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალის მიხედვითაც.

ასე რომ, „ქართველთ ცხოვრებაში“ წარმოდგენილი არაბთა პირველი ლაშქრობა მურვან ყრუს სარდლობით წარმოდგენს ამბის გაზვიადებას და მასში გაერთიანებულია არაბთა რამდენიმე შემოსევა, რადგან ლეონტი, მროველი ეპისკოპოსი, შეეცადა, შუა საუკუნეების დოგმატის საფუძველზე, შეექმნა წმინდა მეფე არჩილის კულტი. ამისთვის მან ნახევარ საუკუნეზე მეტი ისტორიული მონაკვეთი ისტორიულ პირებთან ერთად საერთოდ გააქრო. ასე აღმოჩნდნენ ერისმთავარ სტეფანოზ მეორის ვაჟებად მეფე მირი და მეფე არჩილი, რომელთაც პირველებს მოუწიათ არაბებთან ბრძოლა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მემატყიანემ გვერდი ვერ აუქცია იმის აღნიშვნას, რომ არაბთა პირველი ლაშქრობიდან მეორე

შემოსევამდე 50 წელი გავიდა. ამრიგად $654+50=704$ წელს, სავარაუდოდ $668+50=718$ წელს, სავარაუდოდ $685+50=735$ წელს და $704+50=754$ წელს, როცა „ქართველთ ცხოვრების“ მიხედვით არაბთა პირველი ანუ მურვან ყრუს ლაშქრობიდან „წელიწადსა ორმოცდამეთესა“ სარკინოზები მეორედ შეეცადნენ ქართლში შემოსვლას და სწორედ ამას მოჰყვა, მეფე არჩილის მონამებრივი აღსასრული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ. 1979.
2. გ. ალასანია. თბილისის საამიროს დაარსების თარიღისთვის. საისტორიო კრებული. თბ. 2007.
3. გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. I. თბ. 2006.
4. თეოფანე ჟამთააღმწერელი. ქრონოგრაფი. გეორგიკა. ტ. IV, ნაკვეთი I. თბ. 1941.
5. მოვსეს კლანკატუაცი. ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. საქართველოს ისტორიის წყაროები 37. თბ. 1985.
6. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ორიგინალური ტექსტები და თარგმანები ახალქართულად. მეორე გამოცემა. თბ. 2011.
7. ზ. პაპასქირი. ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადი, №4. თბ., 1998.
8. მ. სანაძე. თ. ბერაძე. VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, X. თბ., 2004.
9. მ. სანაძე. ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). ქართველთა ცხოვრება, წიგნი III. თბ. 2016.
10. ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით). თბ. 1991.
11. ე. სიხარულიძე. საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობის ზოგიერთი საკითხისათვის. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. ტ. I. თბ. 1961.
12. ი. ფალავა. საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. ტ. VIII. თბ. 2014.

13. „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ. 1942.
14. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1965.
15. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955.
16. 1927.
17. , 1864.
18. 1862.
19. XIII. . 1844.
20. 1939.
21. ” - “
22. 1940.
23. 1895.
23. – წგნ. . 1986.
- (<http://www.vostlit.info/Texts/rus4/Gorgasal/framepred.htm>).
24. 1927.
25. C. Toumanoff. Iberia between Chosroid and Bagratid Rule. – *Studies in Christian Caucasian History*. Georgetown University Press, 1963.
26. F. Winkelmann, R-J. Lilie. Muhammad ibn Marwān. Prosopographie der mittelbyzantinischen Zeit: I Abteilung (641-867), 3 Band: Leon. 1998.

ქართველთა დენაციონალიზაციის პროცესი XVIII საუკუნეში

ანა დოლიძე

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ისტორიის მაგისტრი*

საკვანძო სიტყვები: ქართველთა გათათრება, გასომხება, გალექება, გაფრანგება; რუსეთის გავლენის ზრდა კავკასიაში

მართლმადიდებელ სარწმუნოებას საქართველოში მუდამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: იგი ერის იდენტობის, კულტურისა და ზნეობის განმსაზღვრელი იყო და მის დაცვასა და შენარჩუნებას საუკუნეთა მანძილზე ასიათასობით ქართველი ეწირებოდა მეფეებიდან დაწყებული რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული. საერო ხელისუფლებასთან ერთად ეკლესია ყოველთვის იღვწოდა დაეცვა საზოგადოება ზნეობრივი გადაგვარებისაგან და შეენარჩუნებინა ეროვნული ღირებულებები და ფასეულობები, რაც ერის სულიერი და პოლიტიკური მთლიანობის აუცილებელი პირობა იყო. განსაკუთრებით განსაცდელების დროს ეკლესია ქვეყნის გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენდა. მტრისგან აოხრებული ქართველი ერი კვლავ ერთიანდებოდა ეკლესიის წიაღში და განახლებული ძალებით იღვწოდა სარწმუნოებისა და სამშობლოს დასაცავად.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებით გაიზარდა მართლმადიდებელი რუსეთის გავლენა კავკასიაში, რომელიც თანდათანობით მოიწვედა სამხრეთისაკენ და საფრთხეს უქმნიდა სპარსეთსა და ოსმალეთს; ვინაიდან რუსეთის ერთადერთი ბუნებრივი პოლიტიკური მოკავშირე, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, საქართველო იყო, იმ მიზნით, რომ ქართველები რუსებს არ შეერთებოდნენ, მართლმადიდებლობა საქართველოში სასტიკად იდევენებოდა, სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს კი სრული თავისუფლება ჰქონდათ. მაგალითად, სომხებს ქრისტიანთა შორის განსაკუთრებული პრივილეგიები გააჩნდათ: მათ ჰქონდათ ორი საპატრიარქო – ერმიადინისა და კონსტანტინოპოლის, და ორი საკათალიკოსო – სისისა და ახტამარის. ერმიადინს დიდი მა-

მულები ჰქონდა ნაყიდი თბილისში და შესაბამისად გლეხებიც, რომელნიც ამუშავებდნენ მიწებს. სპარსეთის შაჰმა ეჩმიაძინს მოუხსნა გადასახადი და სპარსეთის მოხელეებს აუკრძალა ჩარეულიყვნენ მის საშინაო საქმეებში. ამ დროს კი, საქართველოს ეკლესია განადგურების პირას იყო მისული და თბილისის სიონის ტაძარი ლამის მეჩეთად აქციეს. მნიშვნელოვანი იყო გამუსლიმების წესის შესრულება: თუ ზოგადად მუსლიმობის მისაღებად საკმარისი იყო მხოლოდ ალაჰის აღიარება, ოსმალები ქართველებისაგან მოითხოვდნენ წინაპართა სარწმუნოების საჯაროდ დაგმობასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სიცოცხლე ნამებით სრულდებოდა.

ამავე პერიოდში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისათვის ქართული ასოებით ინერებოდა სომხურენოვანი, სპარსული და ოსმალური სახარება, რითაც ქართველები თანდათანობით ეთვისებოდნენ უცხო სამყაროს, რაც მათ ასიმილაციას ამარტივებდა. დროთა განმავლობაში ქართველები შეეგუენ იმ აზრს, რომ საკუთარი სიცოცხლისა და კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო სარწმუნოების შეცვლა, რასაც მოჰყვა ქართველთა მასიური „გათათრება“ და „გასომხება“, ასევე, „გალეკება“ და „გაფრანგება“. ქართველებისათვის მიმზიდველი იყო ლეკების უბატონობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლეკებმა ქართული სოფლები დაბეგრეს, ქართველთა მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. რაც შეეხება ქართველების „გაფრანგებას“ – ისინი კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდნენ იმ მიზნით, რომ კათოლიკე მისიონერები ხელს უწყობდნენ ქართველების განათლებას და გაჭირვების დროს ეხმარებოდნენ. სარწმუნოებასთან ერთად კი, ქართველები იფიცებდნენ მშობლიურ ენასაც. ასეთი დენაციონალიზაციის პირობებში ქართველი მეფეები ცდილობდნენ რუსეთთან დაკავშირებას და იმედოვნებდნენ, რომ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელი ქვეყანა დაიცავდა ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. თუმცა, რუსეთის იმპერატორი მხოლოდ საკუთარი გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ქართველთა ბედი მისთვის ნაკლებად პრიორიტეტული იყო და ქართველები მხოლოდ საკუთარი მიზნების მისაღწევად სჭირდებოდა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი

გიორგი თანიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი, მე-2 კურსი

საკვანძო სიტყვები: ნაფიცი მსაჯული, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმე, მიკერძოება

მსოფლიო სასამართლო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვნად განვითარებული რგოლია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ის სათავეს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იღებს. ამ ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეები იღებენ მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 2010 წლიდან ფუნქციონირებს და ამ დროში არაერთი მნიშვნელოვანი საქმე იქნა განხილული.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 ძირითადი და 2 სათადარიგო წევრისგან. ნაფიც მსაჯულად შეიძლება აირჩეს სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სისხლის სამართლის საპროცესო ენას. საინტერესოა რამდენად შეძლებენ ისინი პოლიტიკურ წნეხთან ან საზოგადოების განწყობასთან გამკლავებას. რამდენად სარწმუნოა ასეთი ადამიანების ვერდიქტი რომელთაც თავიდანვე აქვთ სტერეოტიპული შეხედულებები ჩამოყალიბებული სხვადასხვა უმცირესობათა მიმართ, მით უფრო ჩვენს ქვეყანაში, სადაც საზოგადოება თავიდანვე სტიგმატიზებულია. ცხადია იურიდიული განათლების არმქონე პირი უფრო ადვილად დაექვემდებარება ადვოკატთა რიტორიკასა და ემოციურ მანიპულაციებს, ვიდრე მოსამართლე, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს ამ საკითხში და ინსტინქტების დონეზე არ იღებს გადაწყვეტილებას. ამ პრობლემათა გააზრებით კანონი სხვა სახით ფორმულირდა და ახლა უკვე იურისტებსაც აქვთ მსაჯულთა რანგში ყოფნის უფლება ამგვარ პროცესებში. მსოფლიო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ნაფიც მსაჯულთა შორის იყო მოსამართლეც. ერთი მხრივ კარგია, როდესაც იურიდიული განათლების მქონე პირი არის მსაჯულთა შორის, ყველაფერს ცივი გონებით უყურებს და პოზიტიური სამართლის ნორმებით მოქმედებს,

ხოლო მეორე მხრივ, ეს პირი არ უნდა იყოს მოსამართლე, რადგან ამ შემთხვევაში მთლიანად ირღვევა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსი. ვინაიდან ჩვენი ქვეყანა არ ეფუძნება პრეცედენტულ სამართალს და ეს კონკრეტული ინსტიტუტიც ახალია ჩვენი ქვეყნის რეალობისათვის, არამიზანშენილად მიმაჩნია საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამოძიების ამ სისტემისთვის მინდობა, ვინაიდან ამ საქმეში გამოუცდელი 12 პირის საზოგადოებრივი აზრის ქვეშ მოქცევის ან პირადი ინსტიტუტებით განპირობებული გადაწყვეტილების მიღების რისკი საკმაოდ მაღალია.

ამგვარად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მსოფლიო მამტაბით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასამართლო სისტემის საქმიანობაში, საქართველოში კი, სადაც ეს ინსტიტუტი სულ ცოტა ხნის წინ დაარსდა, ის ჯერ კიდევ დასახვეწია, შესაბამისად, საზღვარგარეთის ნამყვან ქვეყნებში ინსტიტუტის იმპლემენტაციის დონეს ვერ შეედრება.

ამ სისტემაში არაერთი საკითხია დასახვეწი და დასაზუსტებელი, ამიტომ არამიზანშენილია ამ ეტაპზე ამ სისტემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამოძიების მინდობა.

სახელმეკრულებო სამართლის უნიფიკაციის ტენდენციები
და მისი როლი ქართული კერძო სამართლის
ევროპეიზაციაში

გიორგი ამირანაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: სახელმეკრულებო სამართალი, სამართლის უნიფიკაცია, სამართლის ევროპეიზაცია, საქართველო, კერძო სამართალი

ბოლო ათწლეულებში, კანონმდებლობის უნიფიცირების სულ უფრო ინტენსიურმა ტენდენციამ შესაძლებელი გახადა კონტინენტური ევროპის ერთიან კერძოსამართლებრივ სივრცედ განხილვა. კერძო სამართლის უნიფიკაციის მიზანია ერთიანი საკანონმდებლო სივრცის შექმნა საერთაშორისო სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის.

ბოლო ხანებში, საერთო კერძო სამართალი სულ უფრო და უფრო ხდება ევროპული სამართალშემოქმედების საგანი. ყველაფერი მონიშნავს იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ევროპული სამოქალაქო კოდექსი ჩანაცვლებს ეროვნულ სამოქალაქო კოდექსებს. საერთო ევროპული სამოქალაქო კოდექსის იდეის შთაგონებით, გასული საუკუნის 80-იან წლებში, დაიწყო ფორმირება სამეცნიერო-კვლევითმა ჯგუფებმა, საერთო ევროპული კერძო სამართლის ერთიანი პრინციპების შემუშავების მიზნით. პირველ რიგში, კონცენტრაცია ხდებოდა სახელმეკრულებო სამართალზე. როგორც აღინიშნა, ვალდებულებითი, განსაკუთრებით კი, სახელმეკრულებო სამართლის უნიფიკაციას საკმაოდ მძლავრი ტენდენცია ახასიათებს. მართალია, საქართველო არ არის ამ პროცესის მონაწილე, თუმცა, ეს არ გამორიცხავს ლოკალურ დონეზე იმ გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას, რომელიც ევროპულმა კავშირმა ამ მიმართულებით დააგროვა.

ევროპულმა ინტეგრაციამ ხელი შეუწყო იურისტების თანამშრომლობას როგორც ევროპული კავშირის შიგნით, ისე მის მიღმა. ამგვარი თანამშრომლობის ნაყოფია ადვოკატების, მოსამარ-

თლებს, ან იურიდიული ფაქულტეტების გაერთიანებები, ევროპელ იურისტთა ფორუმი და ევროპული სამართლის ინსტიტუტი. კერძოდ, გასული ათწლეულების განმავლობაში, ბევრმა საერთაშორისო კვლევითმა ქსელმა განავითარა ევროპული წესების კრებულები, რომლებიც არ არის იურიდიულად სავალდებულო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლია იდეების მიცემა ევროპული კავშირის სამართლისა და ეროვნული სამართლისათვის.

საერთო ევროპული კერძო სამართლის სივრცის ნაწილად დარჩენა, თუ მის სრულფასოვან წევრად გახდომა შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში კერძოსამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიზნად. მჭიდრო ევროპული ინტეგრაციისათვის ევროპული კავშირი მოითხოვს ქართული სამართლის მაქსიმალურ ევროპეიზაციას. საქართველოს ევროინტეგრაციისა და ევროპული სტრუქტურების წევრობის დეკლარირებული პოლიტიკიდან გამომდინარე, გონივრულია, შეფასდეს და გაანალიზდეს ევროპული კავშირის ფარგლებში შემუშავებული უნიფიცირებული წესები. სხვათა შორის, უცხო სამართლის რეცეფციისას, კომისიისათვის ძირითად ღირებულებას წარმოადგენდა სამართალთა უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის საფუძველზე შექმნილი სამართალი. ამ უკანასკნელს დიდი გასაქანი მიეცა ვალდებულებით სამართალში. სარედაქციო ჯგუფი სარგებლობდა იმ მოდელური პროექტებით, რომლებზეც სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის საერთო ვალდებულებით სამართლებრივი სივრცის შესაქმნელად. სამართალთა უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის შედეგებს ემყარება სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილის თითქმის ყველა ინსტიტუტიც.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 23 და 24 ივნისს, IE უნივერსიტეტისა (ესპანეთი) და ევროპული კვლევების IE ცენტრის (ესპანეთი) ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია – „უნიფიცირებული წესები ევროპული სახელშეკრულებო სამართლისათვის? კრიტიკული შეფასება“. კონფერენციას ქ. სეგოვიამი (ესპანეთი), ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში (EEC)/ევროპულ კავშირში (EU) ესპანეთის გაერთიანების 30 წლისთავთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნიდან და სამართლებრივი კულტურიდან ჩამოსული ამ სფეროში ნამყვანი პროფესორების ჯგუფი ესწრებოდა, რათა განეხილა და გაეანალიზებინა ევროპულ სა-

ხელშეკრულებო სამართალში უნიფიცირებული წესების ახლანდელი საჭიროება. პროგრამის მეხუთე სექცია ეხებოდა ევროპული პროცესის ზეგავლენას არაევროპულ ქვეყნებზე. კერძოდ, კონფერენცია მოიცავდა გარკვეულ მოხსენებებს უნიფიცირებული წესების ზეგავლენებზე, როგორც მოდელზე არაევროპულ ქვეყნებში.

მაშასადამე, შედარებითსამართლებრივი ანალიზის გარდა, რომელიც ცალკეული ქვეყნის გამოცდილებასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ემყარება, არანაკლებ საინტერესოა კიდევ ერთი „განზომილება“. კერძოდ, საუბარი სცდება ევროპული (მაგ., გერმანია), ან, ისტორიული გამოცდილების თვალსაზრისით, საქართველოსთან ახლოს მდგომი (მაგ., რუსეთი), ან სამხრეთკავკასიური (სომხეთი და აზერბაიჯანი) სისტემების სამგანზომილებიანი განხილვის ფარგლებს და შემოთავაზებულია სრულიად არაორდინალური შედარების ობიექტი – ზემოთ მოხსენიებული უნიფიკაციის ევროპული ინსტრუმენტები. ამ დოკუმენტებში მოცემული ნორმები შეიძლება განხილულ იქნეს ერთგვარ რეკომენდაციად ქართველი კანონმდებლისთვის, საქართველოში მიმდინარე კერძო სამართლის რეფორმის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *ბალიშვილი ე.*, ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, სპეციალური გამოცემა, 2007;
2. *ბაჩიაშვილი ვ.*, ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2013;
3. *ბორონი ა.*, წინათქმა, წიგნში: *ჩაჩავა ს., ზალიშვილი ვ.* (რედ.), *შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) III*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014;
4. *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, პირველი კვარტალი, 1998;
5. *ზოიძე ბ.*, ქართული ვალდებულებითი სამართლის სისტემა და პრინციპები, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, მესამე და მეოთხე კვარტალი, 2000;
6. *კერესელიძე დ.*, ევროპული კოდიფიკაციებისა და კანონმდებლობის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტრუმენტების გავლენა საქართვე-

ლოს კერძო სამართლის განვითარებაზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007;

7. *სამხარაძე ი.*, საქართველოს ევროპეიზაცია: ევროკავშირში განევრინების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №5(48) 15;
8. *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელმეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014;
9. *Vargas-Brand I.N.*, Conference Report: ‘Uniform Rules for European Contract Law? A Critical Assessment’, European Review of Private Law, Volume 24, Issue 6, 2016;
10. *„Common European Sales Law (CESL) –* *07/2016,*
(GIZ), 2016.

ოჯახური ძალადობა

მარიამ კურტანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი, მე-3 კურსი

საკვანძო სიტყვები: კრიმინოფამილისტიკა, ოჯახური ძალადობა, სტატისტიკა

ოჯახური ძალადობა არის საშიში მოვლენა, რადგანაც ამ სახის ძალადობა ხელყოფს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა: თავისუფლებისა და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლის უფლება. ამავდროულად ის არა მხოლოდ კონკრეტული პირის, არამედ საზოგადოების პრობლემაცაა და სოციალურ სახეს ატარებს. გაეროს 2004 წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის მე-8 ადგილზეა ოჯახში ჩადენილი ძალადობის მხრივ. საქართველოში რეგისტრირებულ მკვლელობათა შორის, საგრძნობლად იმატა ოჯახში კონფლიქტების შედეგად ჩადენილმა მკვლელობებმა. ამ ფაქტთა ერთობლიობა ცხადყოფს ამ პრობლემის აქტუურობას ჩვენს ქვეყანაში.

პირველეს ყოვლისა, ოჯახური ძალადობა უნდა განვიხილოთ არა როგორც პირადი პრობლემა, არამედ როგორც სოციალური მოვლენა იმდენად, რამდენადაც მოძალადე ხელყოფს, ერთი მხრივ, ადამიანის ჯანმრთელობას, ფსიქიკას ან უარეს შემთხვევაში სიცოცხლეს, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ძირითად უჯრედს – ოჯახს და ეს ყველაფერი მომავალ თაობებზე აისახება.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კრიმინოლოგებს დიდი ხანია აინტერესებთ ოჯახში ძალადობის კრიმინოლოგიური გამოვლინება. ოჯახში გამოვლენილი ძალადობრივი ქმედება კრიმინოფამილისტიკის ნაწილია. კრიმინოფამილისტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო კრიმინოლოგიურ მიმართულებას. საქართველოში ფუნდამენტური ნაშრომი ამ საკითხზე პრაქტიკულად არ მოგვეპოვება.

მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნები ატარებდნენ ფართომასშტაბიან კვლევებს ამ საკითხზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცხრე კონგრესმა, რომელიც 1955 წელს კაიროში გაიმართა, სპეციალურად განიხილა „ძალადობით ჩადენილი დანაშაულების თავიდან აცილების“ საკითხი, რომელიც შემდგომ წარადგინეს „ძალადობის მიზეზების საერთაშორისო მიმოხილვის“ ნაწილის სახით. ვინაიდან ეს საკითხი სოციალურად საშიში მოვლენაა, იგი გათვალისწინებული იყო ძველ ქართულ სამართლის კანონმდებლობაშიც. ოჯახის წევრთა და ნათესავთა შორის ჩადენილი მკვლელობა ჩვეულებრივ მკვლელობასთან შედარებით დამამძიმებელ გარემოებად იყო მიჩნეული და უმკაცრესად ისჯებოდა. 2006 წლის ნოემბერში კი კანადაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ოჯახური ძალადობის პრობლემაზე. ამ კონფერენციაზევე შეიმუშავეს პრევენციული გეგმა.

იმისთვის, რომ პრობლემის პრევენციაზე ან რეაბილიტაციის გზებზე ვისაუბროთ, საჭიროა ჯერ მისი გამომწვევი მიზეზები განვიხილოთ. არაერთი კვლევით დასტურდება, რომ ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სქესობრივი ძალადობის ძირითად ფაქტორებად მიჩნეულია ალკოჰოლი, ნარკოტიკი, მატერიალური არასტაბილურობა, ბავშვობისას გადატანილი ტრავმა და განათლების დაბალი დონე. პრევენციის ზომების მისაღებად აუცილებელია თითოეული ამ პრობლემის გააზრება და ამ მიმართულებებით სა-

მუშაო ჯგუფების შექმნა. საჭიროა სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა არა მხოლოდ მსხვერპლთათვის, არამედ მოძალადეთათვისაც. ასევე კარგი იქნება, თუ გავიზიარებთ ამერიკის გამოცდილებას და სამართალდამრღვევთათვის სავალდებულოს გავხდით სამკურნალო კურსს. დღესდღეობით საქართველოს მასშტაბით 4 სარეაბილიტაციო ცენტრია გახსნილი და სულ 180 ადგილია, რაც არასაკმარისია. ასევე საჭიროა მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და მატერიალური უზრუნველყოფა, რათა ისევ იმ ძალადობრივ გარემოში არ მოუწიოს დაბრუნება. ასევე არასრულწლოვანთათვის უნდა შეიქმნას ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლები. 1980 წელს სენტ-ლუისის შტატში, ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის მიზნით, სპეციალური ფსიქოთერაპიული პროგრამა შეიმუშავეს, რომელიც ითვალისწინებდა მოძალადე მამაკაცთა 3 თვიდან 12 თვემდე თერაპიულ კურსს. ამ პროგრამის განხორციელების შემდეგ 25%-ით შემცირდა ამ ტიპის დანაშაულები. ეს ფაქტი ცხადყოფს ამ სახის პროგრამის აუცილებლობას ჩვენი ქვეყნისათვის. ამერიკის მაგალითის გადმოტანა შეიძლება საგანმანათლებლო სისტემაშიც: ამერიკის შეერთებული შტატების მინესოტის შტატის სკოლებსა და ბალებში ბავშვები გადიან ოჯახში ძალადობრივი მოქმედებისადმი ფსიქოლოგიურ იმუნიტეტის შექმნის კურსს. ასევე საჭიროა ჩატარდეს კვლევები და მათ საფუძველზე შეიქმნას კრიმინოლოგიური ნაშრომები, რომელთაც სტუდენტები გაეცნობიან. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მორალურად მტკიცე თაობათა აღზრდას. პროფილაქტიკისათვის ასევე საჭიროა სპეციალურ კანონპროექტთა პაკეტის შემუშავება, რომელიც შეეხება ოჯახში ძალადობაზე კონტროლს. ასეთი საკანონმდებლო პროგრამა შემუშავდა რუსეთის ფედერაციაში. ეს პროგრამა ითვალისწინებს „ოჯახში სასტიკი მოპყრობის შესახებ“ კანონის მომზადებას. რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, სასურველია ზოგიერთი კანონის კონკრეტიზაცია და დახვეწა. ამის მაგალითს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი. სასურველია ამ მუხლში დაკონკრეტდეს მშობიარობის დროს ქალის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა. ასევე საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლის დახვეწა ისე, რომ არც პროცესის მონაწილეთა უფლებები

დაირღვეს და არც საქმის მწარმოებელი ორგანოები დარჩნენ უმე-
ქანიზმოდ.

ოჯახში ჩადენილი ძალადობითი დანაშაული სოციალური
პრობლემაა და საქართველოში ამ სახის დელიქტები ქარბობს.
აუცილებელია, ამ პრობლემის პრევენციისათვის ჩატარდეს სპე-
ციალური კრიმინოფამილისტიკური კვლევები და მათ საფუძ-
ველზე შეიქმნას ნაშრომები. ასევე საჭიროა სისხლის სამართლის
კოდექსის რამდენიმე მუხლის დახვეწა და კონკრეტიზაცია. სა-
სურველი იქნება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა
დანერგვა ჩვენი ქვეყნის პრევენციულ პრაქტიკაში. აუცილებელია
შეიქმნას თავშესაფრები არა მხოლოდ მსხვერპლთა, არამედ მო-
ძალადეთათვისაც. სკოლებსა და ინსტიტუტებში როგორც პედა-
გოგებმა, ასევე ფსიქოლოგებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ
ამ საკითხებზე. ამ პრევენციულ ზომათა ერთობლიობა ხელს შე-
უწყობს ამ სახის დანაშაულის შემცირებასა და საზოგადოების გა-
ჯანსაღებას.

არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი საქართველოში

მეგი კაკალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი, მე-2 კურსი

საკვანძო სიტყვები: ტრეფიკინგი, არასრულწლოვნები, პრევენცია, რეა-
ბილიტაცია, მონაცემების არარსებობა

მოზარდის განვითარებასა და ქცევაზე სხვადასხვა გარემოე-
ბის ერთობლიობა ახდენს გავლენას, მათ შორის ინდივიდუალური
ფაქტორები, საზოგადოება, გარემო და სხვა. ამიტომ მოზარდის
განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ჯანსაღი და დაცული გარე-
მო, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ.

2000 წლის დეკემბერს იტალიის ქალაქ პალერმოში მიღებულ
იქნა გაეროს კონვენცია, სადაც აღინიშნა, რომ ტრეფიკინგი ნიშ-
ნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას,

შეფარებას ან მიღებას მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან პირის თნხმობის მისანევედ თანხის ან სხვა სარგებლობის მიცემით ან მიღებით. ბავშვთა გადაყვანა, ტრანსპორტირება მათი ექსპლუატაციის მიზნით უნდა ჩაითვალოს „ტრეფიკინგად“ მაშინაც კი, როდესაც გამოყენებული არ ყოფილა ზემოაღნიშნული საშუალებანი.

ტრეფიკინგი არამარტო ადამიანური ტრაგედიაა, არამედ ეროვნული კრიზისიც, რადგანაც დამნაშავეები ამ ქალებისა და გოგონების მეშვეობით ერთ კვირაში უფრო მეტ ფულს აკეთებენ, ვიდრე ქვეყნის სამართალდამცავი სისტემის წლიური ბიუჯეტია.

გაეროს ბავშვთა ფონდის 2006 წლის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის შესახებ არ არსებობს მიახლოებითი სტატისტიკა, თუმცა საუბარია მზრუნველობამოკლებულ 15-დან 17 წლამდე გოგონებზე, რომელთა ტრეფიკინგიც ხდება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით და 13 წლამდე ბავშვებზე, რომელთა ტრეფიკინგიც ხდება იძულებითი შრომისა და მათხოვრობის მიზნით.

საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის საინფორმაციო მიმოხილვის თანახმად, საქართველოში ტრეფიკინგში ჩართულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება: დასაქმების სააგენტოები 50%; ტურისტული ფირმები 38%; საზღვარგარეთ სწავლების ორგანიზებით დაკავებული ფირმები 33%; პოლიცია 11%; საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციები 4%.

საქართველოში არ მოიპოვება ცნობები პედოფილთა „ხვედრითი წილის“ შესახებ ბავშვთა საქსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებში. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ პედოფილთა არსებობა იმ მსჯავდებულთა შორის, რომელთაც ბრალი „არასრულწლოვანთა გაუპატიურების“ მუხლით ჰქონდათ ან აქვთ. არ არსებობს არანაირი იძულებითი მკურნალობის, ან სხვა სახის ფსიქოლოგიურ-სამედიცინო პროგრამები და სამსახური პედოფილიის პრევენციის მიზნით. სამართალდამცავი ორგანოები არ ფლობენ მეთოდოლოგიასა და ინსტრუქტაჟს პედოფილთა მოძიების, აღ-

რიცხვისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების მიზნით.

ეს და სხვა მსგავსი მაგალითები ქმნიან საჭიროებას, რომ ქვეყანაში შეიქმნას კონკრეტულად ტრეფიკინგზე მომუშავე ჯგუფი, ორგანიზაცია, რომელიც სტატისტიკას მაინც აღრიცხავს და შეიმუშავებს საჭირო კანონპროექტებს, რომელთაც წარადგენს საკანონმდებლო ორგანოში, რამდენადაც დღევანდელ ქართულ სამართალში ტრეფიკინგის გარკვეული მიმართულებებით არ გვაქვს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაცია, ხოლო არსებული საჭიროებს კონკრეტიზაციასა და დახვეწას.

მეტყველების თავისებურებანი პოლიტიკურ ტექსტში (ლევან ბერძენიშვილის პოლიტიკური გამოსვლების ანალიზის საფუძველზე)

*მარიამ ნავაძე, ელენე ქადაგიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
დოქტორანტურა, 1-ლი კურსი*

საკვანძო სიტყვები: ენის კორპუსი, პოლიტიკური კორპუსი, პოლიტიკოსების მეტყველება, ლევან ბერძენიშვილი, პოლიტიკური გამოსვლების ენობრივი ანალიზი

პოლიტიკური გამოსვლების, პოლიტიკური მეტყველების ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ყველა ადამიანისთვის, ვინც პოლიტიკური რიტორიკითაა დაინტერესებული.

პოლიტიკოსთა გამოსვლების მიზანს წარმოადგენს მსმენელთა დარწმუნება გარკვეული არგუმენტების მეშვეობით და ხშირ შემთხვევაში, მათი საშუალებით მანიპულირება. თუმცა, რადგანაც ზეპირი მეტყველება წარმოადგენს აზროვნების თავისუფალ ნაკადს, რომელიც რთულად ექვემდებარება სუბიექტის მხრიდან შეგნებულ კონტროლს, ამიტომ პოლიტიკოსთა ზეპირ გამოსვლებზე დაფუძნებული კვლევები ხშირად ამკარას ხდის პოლიტიკოსთა

შინაგან დამოკიდებულებას გარკვეული საკითხების მიმართ და ამჟღავნებს მათ რეალურ ინტენციას.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოგვეკვეთა ლევან ბერძენიშვილის, როგორც პოლიტიკური სუბიექტის, მეტყველების თავისებურებანი საჯარო გამოსვლების მიხედვით.

საკვლევ მასალად ავიღეთ და გავაანალიზეთ 2012–2016 წლების ჩანაწერები.

ლევან ბერძენიშვილის მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად შესაძლოა გამოიყოს ზოგადი კანონზომიერებანი, მახასიათებლები, რომლებიც ქმნის ამ პოლიტიკოსის მეტყველების სტილს, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას იმ პარტიის მიმართ, რომლის წარმომადგენელიც არის იგი და ამასთან, მისი ოპოზიციური პარტიის/პარტიების მიმართაც.

შეინიშნება ზოგადი დაკვირვებები ლევან ბერძენიშვილის მეტყველების სტილთან დაკავშირებით. კერძოდ:

იგი ხშირად იყენებს სტრატეგიულ ელემენტებს თავის მეტყველებაში;

ზოგადად, მის მეტყველებაში ხშირია მხატვრული ხერხების გამოყენება, ამის გამო მისი გამოსვლები არა წმინდად იურიდიული ხასიათის, არამედ გაცილებით უფრო ნაკლებად მშრალი და მრავალფეროვანია.

იგი მეტყველებაში კოგნიტიურ მეტაფორებს, ჰიპერბოლებს და სპეციფიკურ ლექსიკას იყენებს.

ლევან ბერძენიშვილის მეტყველებისათვის დამახასიათებელია აშკარად სპეციფიკური ინტონაციური თარგი. პოლიტიკოსი მახვილებს სვამს განსაკუთრებით იმ სტრატეგიულ სიტყვებზე, რომლებიც, მისი აზრით, საკვანძო და მნიშვნელოვანია. ძალიან ხშირად საკვანძო სიტყვებს იგი ხაზგასმით და დამარცვლით წარმოთქვამს, რათა მისთვის სასურველ თემაზე გაამახვილოს მსმენელთა ყურადღება.

ლევან ბერძენიშვილისთვის დამახასიათებელია დიდაქტიკური ტონი. მისი მეტყველება ძალიან მკაფიოა.

ლევან ბერძენიშვილი პოლიტიკურ გამოსვლებაში ხშირად იყენებს სტრატეგიულ ელემენტებს. ამით იგი თავის მეტყველებას დამაჯერებლობას მატებს, ცდილობს, მსმენელს სტრატეგიულად

მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდოს ისე, თითქოს ეს აღიარებული ქვიშარიტებაა, საზოგადოდ ცნობილი ფაქტია, აქსიომაა.

პოლიტიკური დისკურსის ცნება და მისი პრაგმატიკული ანალიზი (პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლებზე დაყრდნობით)

მარიამ რუხაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა, 1-ლი კურსი*

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დისკურსი, პრაგმატიკული ანალიზი, ზეპირმეტყველება, ქართული ენის პოლიტიკური კორპუსი, მიხეილ სააკაშვილი

ნაშრომი ეხება *პოლიტიკური დისკურსის* ცნების განსაზღვრის საკითხსა და მისი პრაგმატიკული თვალსაზრისით კვლევის მახასიათებლებს, საქართველოს რიგით მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლების ტექსტებზე დაყრდნობით.

სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლამ აჩვენა, რომ საკითხზე მომუშავე მკვლევარები *პოლიტიკური დისკურსის* ცნების სხვადასხვაგვარ განმარტებას გვთავაზობენ, შესაბამისად, განსხვავდება პარამეტრები, რომელთა მეშვეობითაც *პოლიტიკური დისკურსი* შეისწავლება. პოლიტიკურსი დისკურსში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: **პიროვნებაზე ორიენტირებული დისკურსი** და **ინსტიტუციაზე ორიენტირებული დისკურსი**. ნაშრომში განხილულია **ინსტიტუციაზე ორიენტირებული** დისკურსის ტიპი. გამოვიყენეთ შემდეგი პარამეტრები: გამომსვლელის იმიჯი, ტექსტის ინფორმაციული შემცველობა, ადრესატის ფაქტორი, წინასწარი მიზანდასახულობა, ემოციურობის ხარისხი, ინტერტექსტუალობა, სოციალურ-კულტურული კონტექსტი, იდეოლოგიური დამოკიდებულების შემცველი გამოთქმები. ამავდროულად, ნაშრომს ერთვის გამომსვლელის ტექსტში გამოყენებულ ტერმინთა ამსახველი გრაფიკული მასალა და ანალიზი.

ემპირიული მასალა წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილის წინასა-არჩევნო გამოსვლის ტექსტებს, კერძოდ, ნაშრომში გაანალიზებულია ორი სხვადასხვა პერიოდის მასალა. შერჩეული გამოსვლების ტექსტების თემატიკა თითქმის მსგავსია, ამავე დროს ორივე ჩანერილია საპრეზიდენტო არჩევნების წინ (2004 წლის, 2008 წლის). ორივე არჩევნებში მიხეილ სააკაშვილი იყო საპრეზიდენტო კანდიდატი და საბოლოო ჯამში არჩეული პრეზიდენტი, 2004 წელს – საქართველოს მოსახლეობის 96%-იანი მხარდაჭერით, 2008 წელს კი – 53% იანი მხარდაჭერით. გამომსვლელის ტექსტები მარკირებულია ქართული ენის პოლიტიკური კორპუსისათვის შემუშავებული ე.წ. თეგების საშუალებით.

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული პოლიტიკური დისკურსის პრაგმატიკული ანალიზისთვის რელევანტური მეთოდების გამოყენებასა და მათი ეფექტურობის განსაზღვრას, პოლიტიკური გამოსვლის ტექსტში ტერმინთა სინშირულ მონაცემებზე დაკვირვებასა და პრაგმატული ასპექტით განხილვას.

აღნიშნული კვლევის მნიშვნელობასა და სიახლეს განაპირობებს, უპირველესად ის, რომ კვლევა ეყრდნობა ზეპირმეტყველებას. გამომსვლელის ტექსტი შეისწავლება პრაგმატიკული თვალსაზრისით. ნაშრომს თან ახლავს ტექსტში გამოყენებულ ტერმინთა ამსახველი სინშირული მონაცემები.

ქალისა და მამაკაცის მეტყველების თავისებურებანი ქართულში

ნინო ზედგენიძე

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი, მე-4 კურსი*

საკვანძო სიტყვები: გენდერი, გენდერული ლინგვისტიკა, გენდერული პრობლემატიკა, გრამატიკა, ლექსიკა

თანამედროვე ჰუმანიტარული დარგები ქალსა და მამაკაცს შორის არსებული სოციალურ-როლური სხვაობის ენობრივ ასპექტებს დიდ ყურადღებას უთმობენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ

ოდესლაც სქესთა შორის განსხვავებას მხოლოდ გრამატიკა იკვლევდა.

ჩვენს სინამდვილეში გენდერული პრობლემატიკის ენობრივი ასპექტების კვლევა საინტერესო და მრავალფეროვან კვლევით პერსპექტივას შეიცავს. ქართულ ენობრივ მასალაზე დაკვირვება რამდენიმე მიმართულებითაა შესაძლებელი.

- ✓ როგორ მოიხსენებიან ქართულ ენაში ქალები და მამაკაცები, რა ქვეჯგუფის გამოყოფა შეიძლება ქალთა და მამაკაცთა აღმნიშვნელ ლექსიკაში;
- ✓ როგორ მიეთითება ქალისა და მამაკაცის სოციალური კუთვნილება თუ სოციალური როლი;
- ✓ როგორია ქალთა და მამაკაცთა შორის ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა;
- ✓ როგორ გამოიხატება გენდერულად განპირობებული თვისებები და ღირსებები.

ენა ასახავს კულტურას და ბუნებრივია, რომ ის ირეკლავს მასზე მოლაპარაკე საზოგადოებასაც. შეუძლებელია ენა იზოლირებულ, გათიშულ და მშრალ სიმბოლოთა სისტემად დარჩეს. ამიტომაც, ნებისმიერი სოციალური მოვლენა აუცილებლად დატოვებს თავის „ანაბეჭდს“ ენაში. ასეა გენდერის შემთხვევაშიც.

ადამიანის სქესი მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომელიც მრავალი თვალსაზრისით განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ, კულტურულ და კოგნიტურ ორიენტაციას, მათ შორის ენის მეშვეობითაც.

გენდერი შეიძლება განხილულ იქნას როგორც განზომილება, როგორც კვლევის პარამეტრი მრავალ საზოგადოებრივ მეცნიერებაში, მათ შორის, ლინგვისტიკაშიც. ჩამოყალიბდა საგანგებო სოციოლინგვისტური დისციპლინა - გენდერული ლინგვისტიკა, რომელიც სწავლობს ენობრივ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ენის მტარებელთა სქესის მიხედვით განსხვავებასთან.

გენდერისა და ენის მიმართების საკითხებიდან ქართულში კიდევ რამდენიმე მიმართულებით ღირს მუშაობა:

1. გენდერული სოლიდარობა ქართულში მიმართვის ეტიკეტში;
2. საქართველოში გამოთქმული სქესთა თანასწორობის უნივერსალური ფორმულა;
3. ქალისა და მამაკაცის მეტაფორიზებული აღმნიშვნელები.

ქალისა და მამაკაცის მეტყველების თავისებურება ქართულში მეტად საინტერესო, აქტუალური და ამოუწურავი თემაა.

კომპიუტერით გაშუალებული კომუნიკაცია ასინქრონული ფეისბუქმეტყველების ანალიზი და მისი კომპიუტერულ მოდელირებასთან დაკავშირებული პრობლემები

მარიამ მათიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

დოქტორანტურა, 1-ლი კურსი

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერით გაშუალებული კომუნიკაცია, პოლიტიკური დისკურსი, ფეისბუქი, კომენტარები, ჟანრი, სოციალური ქსელი, ენა, ასინქრონული და ასინქრონული, მონაცემთა ბაზა, ანალიზი; მახასიათებლები; ენის კომპიუტერული მოდელირება

თანამედროვე სამყაროში კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ იმოქმედა მეტყველებისა თუ წერის ახალი ჟანრების შექმნაზე, რამდენადაც ადამიანებმა ურთიერთობა დაიწყეს გაშუალებულად – კომპიუტერის დახმარებით. ამგვარმა კომუნიკაციამ კი წარმოშვა სოციალური ქსელები, რომელთა განვითარებამ და ხშირმა მოხმარებამ შეცვალა წერის და მეტყველების სტილი – შექმნა ახალი ჟანრი, რომელიც, თავის მხრივ კიდევ მრავალ ქვეყანაზე შეიძლება დაიშალოს.

ამ საკითხების კვლევა ბოლო დროს ძალიან აქტუალურია, რამდენადაც ხელოვნური ინტელექტის შესაქმნელად დაწყებულმა სამუშაოებმა მეცნიერთა ინტერესის სფეროში მოაქცია და აუცილებელი გახადა კომპიუტერული კომუნიკაციის ენობრივი მახასიათებლების ანალიზი, ამ მახასიათებლების კომპიუტერულ მოდელირებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების გამოვლენა და გარკვეული გამოსავლის ძიება.

ჩვენი მიზანია, გაირკვეს, ქმნის თუ არა ქართულისათვისაც კომპიუტერით გაშუალებული კომუნიკაცია, უფრო კონკრეტულად კი, სოციალური ქსელების მეტყველება, განსხვავებულ ენ-

ობრივ ჟანრს ქართულისთვისაც და თუ კი – რა ძირითადი მახასიათებლებით გამოირჩევა ის და რა სახის პრობლემებს წარმოშობს კომპიუტერული მოდელირების პროცესში. რამდენადაც „ფეისბუქი“ დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავრცელებული სოციალური ქსელია მთელ მსოფლიოში, ემპირიულ მასალად შეირჩა და კვლევა ჩატარდა სწორედ ამ სოციალურ ქსელში განთავსებულ, ქართულ ენაზე დაწერილ კომენტარებზე დაყრდნობით სხვადასხვა საჯარო გვერდებზე, რომლებიც ეხება პოლიტიკას, ბიზნესს, მომსახურების სფეროს და ა.შ

მონაცემთა ანალიზი ადასტურებს, რომ ქართული ფეისბუქ-მეტყველებაც გამორჩევა განსხვავებული მახასიათებლებით. იგი, გარკვეულწილად, წარმოადგენს წერიტი და ზეპირი მეტყველების ნაზავს, ახასიათებს ამ ორივე მიმართულებისთვის დამახასიათებელი ნიშნები და ამავ დროს, აქვს საკუთარი, უნიკალურიც, რათა დაიძლიოს კომუნიკაციისას ის ხილული (კომპიუტერი) თუ უხილავი (ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული) გამამუშალებელი ფაქტორები, რომელიც ამგვარ კონტაქტს ახლავს თან და ხელს უშლის მის ეფექტურობას.

გარდა ამისა, მასალის ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა ის ძირითად პრობლემური ადგილები, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ დგას ბუნებრივი ენის კომპიუტერული მოდელირების პროცესის დროს, მაგალითად, ინტონაციის ფიქსირების საკითხი, ასევე კომენტარები, რომლებიც სხვა მნიშვნელობას გამოხატავენ – სარკასტული, ირონიული, მეტაფორიული, ანდაც კომუნიკაციის მაგალითები, რომლებიც მოითხოვენ რაიმე წინარე ცოდნას, რაც კომპიუტერს არ გააჩნია და უშუალო კომუნიკაციისასა ადამიანთა ფონურ ინფორმაციას წარმოადგენს.

პირის ნაცვალსახელები ქართულსა და აფხაზურ ენებში

მონიკა ხობელია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი, მე-3 კურსი

საკვანძო სიტყვები: აფხაზური ენა, ნაცვალსახელი, პირის ნაცვალსახელები, კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელები, გრამატიკული კლასის კატეგორია

ნაშრომში ერთმანეთთან შედარებულია ქართული ენის პირისა და აფხაზური ენის კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელები. კერძოდ, განიხილება შემდეგი საკითხები:

ქართული და აფხაზური ენები განეკუთვნება ერთი ენობრივი ოჯახის – **იბერიულ-კავკასიურ ენათა** ორ სხვადასხვა ჯგუფს: **ქართული** შედის ამ ოჯახის **სამხრეთულ, ანუ ქართველურ** ენათა ჯგუფში, ხოლო **აფხაზური** აბაზურთან, ადიღურთან, ყაბარდოულთან და ან უკვე მკვდარ უბიხურთან ერთად ქმნის იბერიულ-კავკასიურ ენათა **ჩრდილო-დასავლურ, ანუ აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს**.

ორივე შესადარებელ ენას მრავალი საზიარო ნიშან-თვისება აქვს, რასაც განაპირობებს მათი გენეტიკური ნათესაობა, ანუ საერთო წარმომავლობა, თუმცა ასევე ბევრია სხვაობაც ყველა ენობრივ დონეზე: ფონოლოგიურ სისტემაში, ფონეტიკურ პროცესთა ნაწილში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, თუ ლექსიკაში. ეს სხვაობანი მეორეულია და წარმოქმნილია ქართული და აფხაზური ენების ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად განვითარების შედეგად.

ნაცვალსახელს, როგორც მეტყველების დამოუკიდებელ ნაწილს ზოგად ფუნქციად ყველა ენაში აკისრია სხვა სახელების (არსებითის, ზედსართავის, რიცხვითის) მაგივრობის განევა სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში. კერძოდ, ნაცვალსახელი, ანუ „სახელთა მონაცვლე“ გვეხმარება თავიდან ავირიდოთ ერთი და იმავე სიტყვის ხშირი გამოყენება.

ქართულ ენაში არსებობს შემდეგი პირის ნაცვალსახელები:

I პირი:	მხ. რ.	მრ. რ.
II პირი:	მე	ჩვენ
III პირი:	შენ	თქვენ
	ის, იგი	ისინი, იგინი

პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები ქართულ ენაში **მხოლოდ მოლაპარაკის** (პირველი პირის), **მსმენელის** (მეორე პირის) და **საუბარში არამონაწილე სუბიექტის** (მესამე პირის) პირსა და რიცხვზე მიუთითებს. სხვა სემანტიკა მათ არა აქვთ.

ცალკე დგას სიტყვა **თავი**, რომელიც წარმომავლობით ჩვეულებრივი არსებითი სახელია. იგი აღნიშნავს ადამიანისა და ცხოველის სხეულის წინა ან ზედა ნაწილს, მაგალითად, **თავი დაიბანა, თავი დაიქნია, თავი წამოსწია...** ამავე სიტყვას, როგორც არსებით სახელს, სხვა მნიშვნელობებიც აქვს: **1. წიგნის თავი; 2. სოფლის თავი; 3. ჯვონის თავი** და სხვ. მაგრამ ქართულ ენაში სიტყვა **თავს** ენიჭება ნაცვალსახელის ფუნქციაც, კერძოდ, მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის აღნიშვნისა. მაგალითად: **თავი ისახელა, თავი შეირცხვინა, თავი მოიკლა, თავი შესწირა** და ა.შ. ამ უკანასკნელ მაგალითებში სიტყვა **თავი** აღნიშნავს პიროვნებას, ანუ ფუნქციურად იგი პირის ნაცვალსახელის როლს ასრულებს და კონტექსტის მიხედვით მიუთითებს ხან პირველ, ხან მეორე და ხან კიდევ მესამე პირზე: **თავი შევირცხვინე** პირველი პირია, **თავი შეირცხვინე** – მეორე პირი, ხოლო **თავი შეირცხვინა** – მესამე...

ქართული ენისაგან საკმაოდ განსხვავებულია აფხაზური ენის მონაცემები. ამ ენაში პირის ნაცვალსახელების მაგიერ არსებობს **კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელები**, რაც ქართულისათვის სრულიად უცხოა. საზოგადოდ, აფხაზური ენის სისტემისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი თავისებურებაა **გრამატიკული კლასის სემასიოლოგიური და მორფოლოგიური კატეგორიების თანაარსებობა**: აფხაზურ ენაში არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა განარჩევენ **გონიერთა (ანუ ადამიანის)** და **არაგონიერთა (ანუ ნივთის)** მორფოლოგიურ-სემასიოლოგიურ კლასებს, ხოლო კუთვნილების გამოხატვისა და ზმნაში სუბიექტ-ობიექტების აღნიშვნის დროს **გონიერთა კლასში** გარჩეულია ქალისა და მამაკაცის ქვეკატეგორიებიც.

აფხაზური ენის კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელები მხოლო-
ბითი რიცხვის მეორე და მესამე პირებში ერთდროულად გამოხა-
ტავენ **პირს, რიცხვსა და გრამატიკულ კლასს**, ხოლო მხოლობითი
რიცხვის პირველ პირსა და მრავლობით რიცხვში ისინი კარგავენ
გრამატიკული კლასის გადმოცემის უნარს და **ქართული ენის პი-
რის ნაცვალსახელების მსგავსად მხოლოდ პირსა და რიცხვზე მი-
უთითებენ**. ამ თავისებურების გამო აფხაზურში კლასოვან-პირო-
ვანი ნაცვალსახელები ასეთ სისტემას ქმნიან:

	მხ. რ.	მრ. რ.
I პირი:	სარა „მე“	ჰარა „ჩვენ“
II პირი:	არა „შენ“ (მამაკაცი ან არაგონიერი) ბარა „შენ“ (ქალი)	არა „თქვენ“
III პირი:	არა „ის“ (მამაკაცი) ლარა „ის“ (ქალი) არა „ის“ (არაგონიერი)	დარა „ისინი“

აღსანიშნავია, რომ მხოლობითი რიცხვის მეორე პირის **ქალის**
კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელებს ბევრად უფრო ვიწრო სე-
მანტიკა აქვთ და ისინი **მხოლოდ მდებდრობითი სქესის ადამიანებს**
მიემართებიან, ხოლო მხოლობითი რიცხვის მეორე პირის **მამაკა-
ცის კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელების** ფუნქცია კი გაფარ-
თოებულა და ისინი გამოიყენება როგორც მამრობითი სქესის
ადამიანთა, ისე, ქალის გარდა, ყველა სულიერისა და უსულო სა-
ხელებისადმი მიმართვის დროს.

ვარაუდობენ, რომ გრამატიკული კლასის კატეგორია შორეულ
ნარსულში ქართულ ენასაც უნდა ჰქონოდა, ხოლო ახლანდელი
ვითარება მისი მოშლის შედეგადაა ჩამოყალიბებული (აკად. ქ.
ლომთათიძე, აკად. არნ. ჩიქობავა).

გამოყენებული ლიტერატურა

თეიმურაზ გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავ-
ლელთათვის, ნაწილი I, თბილისი, 2003

ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია

ნათია კენჭიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

დოქტორანტიურა, მე-3 კურსი

საკვანძო სიტყვები: ქართული მჭევრმეტყველება, ისტორია, მჭევრმეტყველების მკვლევრები, მჭევრმეტყველების ნიმუშები, ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი

ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერულად შესწავლის ისტორიაში რამდენიმე მიმართულება გამოიყოფა: 1. ქართული მჭევრმეტყველების თეორიული ასპექტების შესწავლა: მისი ისტორია, ტერმინოლოგია, პერიოდიზაცია, დარგობრივი (დარგები, ქვედარგები და განშტოებები) და ჟანრობრივი მრავალფეროვნების დადგენა; 2. ქართული მჭევრმეტყველებითი ტექსტების გამოვლენა-გამოცემა; 3. ქართული მჭევრმეტყველებითი ტექსტების მეცნიერული შესწავლა.

1. ქართული მჭევრმეტყველების პირველ თეორეტიკოსად შეგვიძლია დავასახელოთ სოლომონ დოდაშვილი, რომელსაც ეკუთვნის დღემდე ჩვენამდე მოღწეული პირველი სახელმძღვანელო რიტორიკაში. თუმცა ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია საბჭოთა პერიოდში იწყება.

ამ დროის გამოჩენილი მკვლევარი, რომელსაც ფასდაუდებელი შრომა აქვს გაწეული ქართული მჭევრმეტყველების კვლევის კუთხით, გახლავთ ნიკოლოზ კანდელაკი. მან შეისწავლა ქართული მჭევრმეტყველების ისტორია, საისტორიო წყაროები, მჭევრმეტყველების კერები, გამოავლინა ტერმინოლოგია ქართულ მჭევრმეტყველებით ტრადიციაში, მოახდინა ქართული მჭევრმეტყველების პერიოდიზაცია, მისი დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია და ა.შ.

სხვა მკვლევრებიდან აღსანიშნავია ვახტანგ კაჭახიძე, რევაზ ბარამიძე, აკაკი გელოვანი, გურამ რუსეიშვილი, გია სიამაშვილი, ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე და სხვ.

2. ქართული მჭევრმეტყველებითი ტექსტების შეკრება და პირველი კრებულების გამოცემა დაკავშირებულია ნიკოლოზ კანდელაკის სახელთან. ასევე აღსანიშნავია, ქართულ სამოსამართლო მჭევრმეტყველების ძეგლთა კრებული. ხოლო, რაც შეეხება, სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, იგი საბჭოთა პერიოდში ნაკლებად იყო შესწავლილი და შესაბამისად, სრულყოფილად არცაა გამოვლენილი შესაბამისი დარგის ნიმუშები.

იმისათვის, რათა გამოგვევლინა და შეგვექმნოდა საერთო წარმოდგენა, თუ რა რაოდენობისა და მოცულობის სამქადაგებლო მჭევრმეტყველებითმა ნიმუშებმა მოაღწია ჩვენამდე, დაგვეხმარა ქართველი სასულიერო პირების ბიობიბლიოგრაფიები. მათი შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების წერილობით მემკვიდრეობაში არც თუ მცირე ადგილი უჭირავს სამქადაგებლო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველებით ნიმუშებს.

ასევე მნიშვნელოვანია, სხვა უფრო დაბალი სასულიერო წოდების პირთა მჭევრმეტყველებითი ნიმუშები, მათ შორის, უნდა დავასახელოთ სულხან-საბა ორბელიანი, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, გაიოზ რექტორი, წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე), დეკანოზი მარკოზი (ტყემალაძე) და სხვანი.

3. ქართული მჭევრმეტყველების სხვადასხვა ასპექტით კვლევას არც თუ დიდი ადგილი უკავია ქართული სამეცნიერო სივრცეში. უმთავრესი ნაშრომები, რომელიც რიტორიკის მიმართულებით შეიქმნა ეკუთვნის ქეთევან ბეზარაშვილს. გარდა ამ ნაშრომებისა, მნიშვნელოვანია ცირა ბარბაქაძის „ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა“ (2003), რომელიც, უდავოდ, ერთადერთ კვლევად ითვლება ამ მიმართულებით.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერულად შესწავლის ისტორიისთვის თვალის გადავლება, ამ მიმართულებით კვლევის შეფასება და ქართული მჭევრმეტყველების ამა თუ იმ დარგის შევსება იმ ნიმუშებით, რომლებიც აქამდე არ ყოფილა ჯეროვნად გამოვლენილი და მიკუთვნებული შესაბამის მჭევრმეტყველებით დარგს, ქვედარგს და/ან ჟანრს.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ დიდი გამოწვევაა ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შეკრება-შეგროვება, რადგან ესაა

ნინარე სამუშაოები იმ საქმის დასასრულებლად, რასაც ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის შექმნა ჰქვია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალიბეგაშვილი, კ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის წმიდა ამბროსი აღმსარებლის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2011;
2. ალიბეგაშვილი, კ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უნმინდესისა და უნეტარესის კალისტრატე ცინცადის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2011;
3. ალიბეგაშვილი, კ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უნმინდესისა და უნეტარესის წმიდა კირიონ II-ის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2011;
4. ალიბეგაშვილი, კ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ბიბლიოგრაფია, „მწვანე სავანე“, 2016.
5. ბარამიძე რ., ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979;
6. ბარბაქაძე ც., ტრადიციული რიტორიკა და ნეორიტორიკის ლინგვისტური მიმართულება, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. VIII, თბილისი, 2003.
7. ბეზარაშვილი ქ., რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი, „მეცნიერება“, 2004;
8. ბეზარაშვილი ქ., ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე, ნიგნი I, თბილისი, 2011;
9. ბეზარაშვილი ქ., ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე, ნიგნი II, თბილისი, 2011;
10. ბერიძე-მელიქიშვილი ე., რიტორიკა: ლექციების კურსი, უნივერსალი, თბილისი, 2013.
11. გაფრინდაშვილი ნ., თვალთვაძე დ., რიტორიკის შესავალი, თბილისი, „ნეკერი“, 2005;
12. გელოვანი ა., ორატორული ხელოვნება, საქ. სსრ საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 1985;
13. კანდელაკი ნ., „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“, თბილისი, ხელოვნება, 1958;

14. კანდელაკი ნ., ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი, „ხელოვნება“, 1961.
15. კანდელაკი ნ., სოლომონ ლიონიძე, ქართული მჭევრმეტყველების კლასიკოსი, საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1962.
16. კანდელაკი ნ., ქართული საელჩო მჭევრმეტყველება, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1966;
17. კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968;
18. კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, ტ. 1, ხელოვნება, თბილისი, 1975;
19. კანდელაკი ნ., წერილები, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1988;
20. კაჩუხაშვილი ნ., ფურცელაძე ნ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ის ბიო-ბიბლიოგრაფია პერიოდულ გამოცემებში (1977-2007), 2013.
21. კაჭახიძე, ვ., სასამართლო მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1980;
22. კაჭახიძე, ვ., პოლიტიკური მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭ. საქართველო, 1985;
23. კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, 1997;
24. კაჭახიძე, ვ., ორატორები: კრებული, თბილისი, სტ. „პოლიგრაფისტი“, 2000;
25. კოჭლაშვილი ც., ბუბულაშვილი ე., საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II: ბიბლიოგრაფია, შემდგ. ქართული წიგნი, 2002, № 4;
26. კუხალაშვილი მ., ორატორული სტილი, სახელმძღვანელო, ქუთაისი, 2008.
27. ნაჭყებია მ., სტილი და რიტორიკა, ლიტერატურული ძიებანი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2011.
28. რუსეიშვილი გ., რიტორიკის საფუძვლები, თბილისი, „ენა და კულტურა“, 2003;
29. სიამაშვილი გ., რიტორიკის შესავალი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2009;
30. ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები, შემდგ. ნ. დავითაია, ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი, 1963;
31. ქართული მწერლობა, ტ. 9, ს. „ნაკადული“, თბილისი, 1992.
32. ჯვარციანიშვილი თ., ქართული ორატორული ხელოვნება, თბილისი, 1999.

33. ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ორატორული ხელოვნება, სტუ, ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრა, თბილისი, 1999.
34. ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ორატორული ხელოვნება, სტუ, თბილისი, 2000.
35. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი., პაპასკირი ვ., ქართული ორატორული ხელოვნება, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2000.
36. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი., პაპასკირი ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომათია-პრაქტიკუმი), სტუ, თბილისი, 2000.
37. ჯაგოდნიშვილი ივანე, რიტორიკა – ძირძველი ენობრივი კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა, „ჟურნალისტური ძიებანი“, თბილისი, 2009, ტ. XII.
38. ქართული მწერლობა, ტ. IX, ს. ნაკადული, თბილისი, 1992.

ანთროპონიმთა ცვალებადობა XX საუკუნეში

*თეკლა ჭინჭარაული, სალომე კახეთელიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი, მე-2 კურსი*

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, ანთროპონიმი, ტოპონიმი, ეტიმოლოგია, ასაკობრივი კატეგორია

ადამიანის საკუთარი სახელების კვლევით დიდი ხნის წინ დაინტერესდნენ მეცნიერები თუ არამეცნიერები. დაინერა ბევრი ნაშრომი, გამოიკვლიეს მრავალი სახელის წარმომავლობა და გავრცელების არეალი, თუმცა სასაუბრო კიდევ ბევრია.

საქართველოში ონომასტიკის ლინგვისტიკის დარგად ქცევა უკავშირდება ალ.ლლონგს, ზ.ჭუმბურიძესა და ი.მაისურაძეს. 1966 წელს გამოიცა ზ.ჭუმბურიძის „რა გქვია შენ“. სწორედ ამ ნაშრომს დავყვარდებით ჩვენს მცირე კვლევაში სახელების ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. ესაა ქართული ანთროპონიმებისა და ტოპონიმების ლექსიკონი.

ისტორიული მოვლენები, მეზობლებთან თუ შედარებით შორეულ ქვეყნებთან კავშირი, ქვეყნის პოლიტიკური კურსი აისახება საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. საკუთარი სახე-

ლები ერის საისტორიო ჩანანერთა ცოცხალი კრებულია. ჩვენთვის საინტერსო აღმოჩნდა საქართველოს უახლესი ისტორიისა და მის კვალდაკვალ ადამიანის საკუთარ სახელთა ცვლის ტენდენციებისთვის თვალის გადევნება. ერთი საუკუნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა (სამწლიანი დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირი, კვლავ გათავისუფლება) და ხალხის გემოვნება თუ ცნობიერებაც შეიცვალა. ახალ თაობებში ესა თუ ის სახელი სხვადასხვა სიხშირით გვხვდება.

ჩვენი კვლევა მოიცავს როგორც დედაქალაქს, ასევე რეგიონებს. გამვლელებისგან 180 სახელი ჩავინერეთ თბილისშიც და რეგიონებშიც (რაჭაში, იმერეთში, ხევსურეთსა და დუშეთში). რესპონდენტებისგან ვინერდით მათ სახელსა და ასაკს. გამოვყავით ცხრა ასაკობრივი კატეგორია: 0-10; 10-20; 20-30; 30-40; 40-50; 50-60; 60-70; 70-80; 80+ . ყველა ასაკობრივ კატეგორიაში რესპონდენტთა რაოდენობა ერთი და იგივე არ იყო. რეგიონებში, მით უმეტეს, მთაში, მოსახლეობის რაოდენობა მცირეა და, აქედან გამომდინარე, ვერ შევძელით ზოგ კატეგორიაში ბევრი ადამიანის პოვნა.

კვლევის შედეგები თბილისსა და რეგიონებში ანალოგიური არ აღმოჩნდა, თუმცა საერთო სურათი ნამდვილად შეიქმნა.

კვლევის დაწყებამდე, ჩვენი ვარაუდით, განსხვავება უნდა მიგველო საბჭოთა მკაცრი, ტოტალიტარული რეჟიმის, შემდეგ თანდათანობითი „დათბობის“, ბოლოს კი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დარქმეულ სახელთა პროცენტულ მაჩვენებლებში.

კვლევამ გვიჩვენა ,რომ ათეიზმის, როგორც საბჭოური პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილის, შეცვლა თეიზმით პირდაპირ უკავშირდება საკუთარი სახელების ცვლილებას (მაგ., 0-დან 30 წლამდე ასაკის ადამიანებს ქალაქშიც და რეგიონშიც ყველაზე ხშირად ბერძნული, ქრისტიანული სახელები ჰქვიათ).

საინტერესო იყო აზიური წარმომავლობის სახელების გავრცელებაზე დაკვირვებაც. ამ მხრივ რეგიონებსა და თბილისს შორის განსხვავებაა. თბილისში 20-დან 70 წლამდე ასაკის ზრდასთან ერთად აზიური სახელების რიცხვიც იზრდება (13%, 19%, 22%, 26%, 31%). ვფიქრობთ, ის, რომ ასაკოვან ხალხს ხშირად

აზიური სახელები ჰქვია, ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. მართალია, 70 წლის ადამიანები საბჭოთა კავშირში დაიბადნენ, მაგრამ უფრო ადრინდელ საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მუდმივად ვიყავით აღმოსავლელ დამპყრობელთა უღელქვეშ. ამ ურთიერთობებმა და კავშირებმა განაპირობა აზიური სახელების ჩვენში დამკვიდრება. მათ მყარად გაიდგეს ფეხი და, ცხადია, ისინი სხვა სახელებით სწრაფად არ ჩანაცვლდებოდა. სწორედ ამას ასახავს პროცენტული მაჩვენებლებიც: თანდათანობით კლება აღმოსავლური სახელების რაოდენობისა.

რეგიონებში ასეთი მზარდი ტენდენცია არ გამოიკვეთა, მაგრამ აქ დაფიქსირებული სიტუაციაც არანაკლებ საინტერესოა. 10-დან 20 წლამდე აზიური სახელების რაოდენობა იზრდება, შემდეგ 20-დან 60 წლამდე ასეთი ვითარებაა: მატება, კლება, მატება, კლება. 60-დან 80+ კატეგორიებში კი ამ სახელთა რაოდენობა მცირდება. თბილისში მუდამ იყრიდნენ თავს აზიელი ვაჭრები, ზოგი მათგანი კი ოჯახიანად რჩებოდა ან აქ ქმნიდა ოჯახს და ჩვენს დედაქალაქში სახლდებოდა. ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ 80-ის გარდა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში თბილისში გაცილებით მეტი აზიური სახელია, ვიდრე რეგიონებში. ზემოთქმული რეგიონები ძირითადად ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული.

რაც შეეხება ევროპულ და ლათინურ სახელებს.. აქ ერთგვაროვანი სურათი არ გვაქვს. თბილისსა და რაიონებში არაპროპორციულად იკლებს და იმატებს ლათინურ-ევროპულ სახელთა პროცენტული მაჩვენებელი. ამ შემთხვევაში ცხადად ჩანს, რომ რეგიონშიც და ქალაქშიც ამ სახელთა რაოდენობა ბოლოდან პირველ ან მეორე ადგილზეა ერთი გამონაკლისის გარდა. ასეთ ვითარებასაც მოეძებნება ახსნა. თუ ძველ ნელთაღრიცხვაში ღრმად არ ჩავალთ, რაც ჩვენი კვლევის ინტერესის სფეროს სცდება, ისტორიულად საქართველო ლათინთა ევროპას სხვა სახელმწიფოების გავლით უკავშირდებოდა. ასეთი იყო რომი, შემდეგ კი ბიზანტია. უფრო აქტიური და მჭიდრო კავშირი ამ სახელმწიფოებთან ჰქონდა, შესაბამისად, გაცილებით მეტი ბერძნული, ვიდრე ლათინური სახელი გვესმოდა, მოგწონდა და ვამკვიდრებდით ჩვენში.

სიხშირით, როგორც მოსალოდნელი იყო, გოგოების სახელე-
ბიდან მარიამი, ბიჭებიდან კი გიორგი ჭარბობს.

ვერ ვიტყვით, რომ კვლევის შედეგი აბსოლუტური სიზუსტით
ასახავს რეალობას, რასაც კვლევის მოცულობაც განაპირობებს,
მაგრამ, ვფიქრობთ, მცირე დროში მოპოვებული მასალა და გამო-
ტანილი დასკვნები საინტერესო უნდა იყოს აუდიტორიისთვის,
რადგან საკუთარი სახელი ის ფენომენია, რომელსაც გვერდს
ვერცერთი ჩვენგანი აუქცევს. იგი გარკვეულ ფონს ქმნის პიროვ-
ნების მახასიათებლებზე. ჩვენ შევეცდებით დაგანახოთ, რა მნიშ-
ვნელობა აქვს საკუთარი სახელის განხილვას და ის, რომ ბევრად
მეტი ღირებულება ენიჭება მის შინაარსს, ვიდრე მასში შემავალ
ასოებს ან აკუსტიკურად მოსაწონ, ლამაზ ონიმებს.

გამოყენებითი ლიტერატურა

ზ.ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, გამომცემლობა „ლოგოს-პრესი“ თბილისი,
2003

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელების ეტიმოლოგიისათვის

სალომე ამირხანაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ბაკალავრიატი, 1-ლი კურსი*

საკვანძო სიტყვები: სახელი, მნიშვნელობა, ეფექტი, არაბული, სპარსუ-
ლი

საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიის საკითხი რუსთველოლოგია-
ში, ერთი შეხედვით, არცთუ ისე აქტუალურია, მაგრამ გარკვეულ
ეტაპებზე იყო დაინტერესება და საგულისხმო მიგნებები. აღსა-
ნიშნავია, მაგალითად, ნიკო მარისა და იუსტინე აბულაძის კვლე-
ვები ამ მიმართულებით. ეტიმოლოგიური ძიებები, ძირითადად,
აღმოსავლური ენების კონტექსტში მიმდინარეობს. ეს ბუნებრი-
ვიც არის, ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფია სრულიად

ორიენტალისტურია და პერსონაჟებიც ამ სამყაროს წარმომადგენლები არიან.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა საკუთარი სახელების ბაზა უმთავრესად სპარსულ-არაბულ-ქართული ვარიაციებისგან შედგება. სახელების ერთი ნაწილი კომპოზიციური წარმოებისაა – შეერთებულია ორი ან სამი ლინგვისტური ერთეული, რაც გარკვეულ ლექსიკურ ეფექტს ქმნის. ამავე დროს, ეს არის ავტორის ესთეტიკური პოზიციის წარმოდგენაც, ანუ აქ ვლინდება შოთა რუსთაველის პოეტური მსოფლმხედველობის თავისებურება – სიზუსტე, სიცხადე და ღრმააზროვნება. მაგალითად, აკადემიკოს ნიკო მარის მიერ წარმოდგენილი დეფინიცია ნესტან-დარეჯანისა: „ნესტ ანდარე ჯაჰან“ (*Nest andare jahah*), – „არ არის მისი მსგავსი ქვეყანაზე“. სპარსული ენის საფუძველზე ახსნილი ეს სახელი ახალი შინაარსით წარმოსდგება მკითხველის წინაშე და განსხვავებულ ნიუანსს იძენს. მისი აღქმა უფრო მძაფრი და ტევადი ხდება. განმარტებას სახელი მისტიკურობის ბურუსიდან გამოჰყავს და ესთეტიკური აღქმის ობიექტად აქცევს.

სახელი, გარდა ონომასტიკური შინაარსისა, კოდურ ინფორმაციას ატარებს, რომელიც უკავშირდება პერსონაჟის ფუნქციასა და როლს ნაწარმოებში. ოუსტინე აბულაძის აზრით, სიტყვა „ავთანდილის“ პირველი ნაწილი არის არაბული *avtan*. ეს არის მრავლობითი რიცხვის ფორმა სიტყვისა *vatan* (სამშობლო) და აღნიშნავს „სამშობლო მხარეებს“, „მშობლიურ ადგილებს“; მეორე ნაწილი წარმოადგენს სპარსულ სიტყვას *dil* – „გული“. აქედან გამომდინარე, „ავთანდილი“ სიტყვასიტყვით აღნიშნავს ცნებას – „სამშობლოს გული“. ამ შემთხვევაშიც იზრდება აღქმითი ეფექტი. ჩვეულებრივი, რიგითი გაგებიდან გადავდივართ უჩვეულო, არასტანდარტული მნიშვნელობის ველში, სადაც იხსნება კოდი, როგორც ავტორის კონცეპტუალური ჩანაფიქრი და ახალი ესთეტიკური შინაარსი.

ლიტერატურული შინაარსის გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელებს უკავშირდება ზოგიერთი ლინგვისტური ხასიათის მოვლენა, რომლებიც წარმოაჩენს აღმოსავლური ცნებისადმი ქართული ენის მიმართების სპეციფიკას. კერძოდ, ბგერების ფონეტიკური აღქმისა და გადმოღების წესს, რომელშიც მჟღავნდება ქართული ენის შინაგანი თავისებურება.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელების ეტიმოლოგიის კვლევა საგულისხმო შედეგებს იძლევა. მათი განზოგადებით შეიძლება საინტერესო დასკვნების მიღება. გამოიკვეთება ორი მიმართულება: ერთი მხრივ, რუსთაველის პოეტური აზროვნების თავისებურება და, მეორე მხრივ, ქართული და აღმოსავლური ენების ისტორიული ურთიერთმიმართებანი.

ენის კორპუსის ბაზაზე ჩატარებული კვლევების მნიშვნელობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

თამარ ლომაძე

*კავკასიის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ენის კომპიუტერიზაცია, კორპუსის ლინგვისტიკა, კორპუსზე დაფუძნებული კვლევები, ქართული ენის ეროვნული კორპუსი

კომპიუტერული მეცნიერებების განვითარებამ კომპიუტერის ყველა სფეროში გამოყენების მოთხოვნილება წარმოშვა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო აქტიური მუშაობა ბუნებრივი ენის ტექნოლოგიებზე, რაც კომპიუტერული მეცნიერებებისა და ხელოვნური ინტელექტის კვლევის საგანს წარმოადგენს, კერძოდ, ეს მიმართულება იკვლევს ბუნებრივი ენის დიდი რესურსების კომპიუტერში შეყვანისა და დამუშავების პროცესს.

1980-იანი წლებიდან კი უკვე იწყება ენის კომპიუტერიზაციის ალგორითმების შექმნა, რამაც ლინგვისტიკაში ახალი მიმართულება გააჩინა. შეიქმნა დიდი მოცულობის ტექსტუალური მასალის დამუშავების საშუალებები. დაიწყო ტექსტების კორპუსების შედგენა, რასაც მოყვა კორპუსის ენობრივი ანალიზატორებით კვლევის საშუალების გაჩენა. ამ მეთოდის მთავარი ღირსება მდგომარეობს მის შესაძლებლობაში ვანარმოთ კვლევები საკმაოდ ვრცელ მასალაზე დაყრდნობით, რის დამუშავებასაც ადამიანი ან საერთოდ ვერ შეძლებდა, ან დიდი დროს მოანდომებდა. ეს

ყველაფერი კი უზრუნველყოფს მეცნიერული დასკვნების საიმედოობის და ობიექტურობის ხარისხის ზრდას.

მოსხენებაში შევეცდებით მიმოვიხილოთ ის შესაძლებლობები, რასაც კორპუსის კვლევა გვთავაზობს როგორც ლინგვისტიკაში, ისე სხვა მეცნიერებებში. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში კორპუსზე დაფუძნებული კვლევების რაოდენობა ცოცხალი ვეცდებით კორპუსის შესაძლებლობების გამოვლენას საერთაშორისო სამეცნიერო გამოცდილების დემონსტრირებით. ასევე, მიმოვიხილავთ მსოფლიოს ნამყვან კორპუსებს, მეზობელი ქვეყნების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს ამ მიმართულებით და ჩვენს ქვეყანაში არსებული კორპუსების პოტენციალს. განვიხილავთ საქართველოში ამ მომენტისათვის არსებულ კორპუსებს და ვისაუბრებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართული ენის ეროვნული კორპუსის არსებობა ქვეყნისთვის. ვაჩვენებთ, თუ რა კვლევების ჩატარების შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით არსებული კორპუსები.

ის, რომ კორპუსების შექმნა დიდ დროს მოითხოვს, შეიძლება ამ მეთოდის ნაკლებად გამოყენების მიზეზიც იყოს. მაგრამ, შესაძლებელია მცირე ზომის კორპუსების შექმნა და კორპუსის ანალიზატორის ფუნქციებში უკეთ გარკვევა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის ჩვენს კვლევებს.

ვფიქრობთ, რომ სამეცნიერო წრეებში არსებული ინტერესის ნაკლებობა კორპუსის, როგორც კვლევის ერთ-ერთი მეთოდის მიმართ, აიხსნება ამ სფეროზე არსებული ინფორმაციის სიმცირით. ცხადია, რომ ენობრივი კორპუსის შექმნა დიდ ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული. თუმცა, ეს ფაქტორიც დაძლევადა, თუკი მოხდება ჩვენი მხრიდან ამ საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, იმის გაცნობიერება, რომ ეს შეიძლება წარმოადგენდეს არა მხოლოდ ლინგვისტიკის, არამედ ჰუმანიტარული, სოციალური და ბევრი სხვა მიმართულების მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას.

ლინგვისტიკა და სტრუქტურული პოეტიკა: ოთარ ჭილაძის ლექსის „შენა ხარ ჩემი ჯილდოც“ სტრუქტურული ანალიზი

ანა გოგოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი, მე-3 კურსი

საკვანძო სიტყვები: სტრუქტურული ანალიზი, პოეტიკა, პოეზია

ნაშრომის მიზანია გაირკვეს, თუ რა მიმართებები არსებობს ჰუმანიტარული მეცნიერების ორ დარგს – ლინგვისტიკასა და პოეტიკას შორის, ასევე, ამ ორი მიმართულების ურთიერთკავშირებსა და თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით გამოიკვეთოს კონკრეტული ტექსტის – ოთარ ჭილაძის ლექსის „შენა ხარ ჩემი ჯილდოც...“ – სტრუქტურული მახასიათებლები და თავისებურებები.

მსჯელობა ეფუძნება რომან იაკობსონის ნაშრომს „ლინგვისტიკა და პოეტიკა“ (resp. „გრამატიკის პოეზია და პოეზიის გრამატიკა“), სადაც ავტორი გრამატიკულ პარალელიზმებზე მსჯელობისას გვთავაზობს მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიების მეშვეობით პუშკინის რამდენიმე პოეტური ტექსტის სტრუქტურულ ანალიზს. იგი ხაზს უსვამს გრამატიკულ ფორმათა კონტრასტებს, განიხილავს როგორც მორფოლოგიურ (არსებით, ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებს), ისე სინტაქსურ ერთეულებს, გვიჩვენებს, თუ რა კავშირია ლექსის რითმულ აგებულებასა და გრამატიკულ კატეგორიებს შორის. ასევე, ბრუნვათა პარადიგმის დამონმებით, განსხვავებული ბრუნვებისა თუ ერთი ბრუნვის კომბინატორულ მნიშვნელობების მონაცვლეობათა გამოვლენით, ახერხებს პოეტურ ტექსტში ავტორის სათქმელის გამოკვეთას.

ოთარ ჭილაძის ლექსის წარმოდგენილი ანალიზი არის მცდელობა გრამატიკული სტრუქტურების გამოვლენით გაირკვეს, თუ რა ენობრივ ფორმებს ეფუძნება პოეტური ტექსტი, აჩვენოს, ზოგადად და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რა სტილური მახასიათებლებები გვხვდება პოეტის შემოქმედებაში. მსგავსი ან კონტრასტული სტრუქტურების ნიშნის მიხედვით მეტყველების ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი ნაწილებისა და გრამატი-

კული კატეგორიების (რიცხვი, ბრუნვა, დრო, ასპექტი, კილო, გვარი, აბსტრაქტული და კონკრეტული სიტყვათა კლასები, პირიანი და უპირო ზმნური ფორმები, განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციები) მონაცვლეობით როგორ აიგება პოეტური ტექსტი და როგორ იქცევა გრამატიკულ მნიშვნელობათა სიმეტრიული გამეორება პოეტურ ხერხად (მაგალითად, ნაცვალსახელებიდან გვხდება ოთხჯერ I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი და ორჯერ II პირის აღმნიშნელი პირის ნაცვალსახელი. აქ დატვირთვა მოდის პირველი და მეორე პირის გამომხატველ „ხარ“ და „ვარ“ ზმნურ ფორმებზე. კომპოზიციურ რკალს სწორედ „შენ“ და „ჩემი“ ნაცვალსახელების გარშემო შემოკრებილი სიტყვები ქმნიან. „შენ“ ნაცვალსახელი ყოველთვის ტაეპის პირველ პოზიციას იკავებს, ეს კი, გარკვეულწილად, ხაზს უსვამს იმ ფაქტს თუ რამდენად მნიშვნელოვანი და მთავარია ამ ნაცვალსახელში ნაგულისხმები არსებითი სახელი, ანუ, სამშობლო). ასევე, ლექსში დაფიქსირებული გრამატიკული სტრუქტურების ანალიზის საფუძველზე დგინდება, თუ როგორ გამოიყენება ხელოვნების ნაწარმოებში (პოეტურ ტექსტში) მხატვრულ საშუალებათა ტრადიციული ფორმები ახალი მიზნებისთვის.

თვალს თუ გავადევნებთ თემის განვითარებას კვანძის შეკვრიდან მის გახსნამდე, რომელიც ვლინდება გრამატიკული კატეგორიების, განსაკუთრებით ნაცვალსახელებისა და ზმნიზების, გამოყენებაში, აღმოვაჩინოთ, რომ ლექსი აგებულია შემდეგ პრინციპზე: საპირისპირო ლინგვისტური ფორმების ურთიერთმონაცვლეობასა და კონტრასტული დაპირისპირებით ამაღლებული ემოციური ფონის შექმნაზე. მოცემული ლექსის სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე ვასკვნი, რომ გრამატიკული ერთეულები კარგად გამოკვეთენ ტექსტის თავისებურებებს, შესაძლებელია კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვამ პოეტურ ფორმად ქცევისას თავისი კონოტაცია დაკარგოს და საბოლოოდ მივიღოთ ასეთი სურათი – ენობრივი ნიშანი კონტექსტში პოულობს საკუთარ შინაარსს.

რიცხვთა სიმბოლური დატვირთვა „ვეფხისტყაოსანში“: 5,
7, 12

გაბრიელ თავაგური
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დოქტორანტი, 1-ლი კურსი

საკვანძო სიტყვები: ციფრი, სიმბოლიკა, ფოლკლორი, რელიგია

ვახტანგ კოტეტიშვილი 1934 წელს გამოცემულ „ხალხური პოეზიის“ პირველ ტომში „იავ-ნანაზე“ საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას რიცხვ შვიდზე ამახვილებდა და სწორედ ამ რიცხვში ეძიებდა ხსენებული ლექსის უკიდევანო საკრალური მითოლოგიის გასაღებს; ბაბილონში (შუმერების კულტურა) რიცხვი ხუთი ზეციური ქვეყნის (სიმბოლო: მზე, ფუნქცია: სიკეთის განვრცობა), ხოლო შვიდი კი ქვეციური სამყაროს რიცხვად მიიჩნეოდა (სიმბოლო: მთვარე, ფუნქცია: საზოგადოებისათვის ზიანის მოტანა). ეს უკანასკნელი, შესაძლოა, დადებითი ფუნქციის მატარებელ საღმრთო რიცხვადაც ტრანსფორმირებულიყო მზის მოძღვრების მიხედვით. მაშასადამე, მთვარის (7) ბოროტების კლანჭებისაგან ხსნის ძალით იმკობოდა მზე (5). აქედან იღებს სათავეს „შვიდი ავი სული“, მათგან მომდინარეობს ყოველგვარი უბედურება და სენი, მათივე გავლენით მთვარე ყოველ თვე ბნელდება; ხალხი ეპილეფსიასა და გულყრას დღესაც ახალ მთვარეს უკავშირებს და ამ კუთხით საგულისხმოა ისიც, რომ მთვარე 1 თვეში 4 ფაზას ასრულებს, ხოლო თითოეული ფაზის შესრულებას კი 7 დღე ანდომებს.

ქართულ იავ-ნანაში ნახსენები შვიდი ბატონი და-ძმანი საკმაო სიახლოვეს ნახულობს ბაბილონურ შვიდ ავ სულთან, რომელთაც ავადმყოფობა შეაქვთ ყველა ოჯახში და ეს სასიმღერო ფორმულები რეცეპტია მათი ავი გავლენის ასაცდენად.

ნიშანდობლივია, ნესტანი თხრობაში მხოლოდ მაშინ შემოდის, როდესაც ის უკვე 7 წლისაა, ე.ი. პოემაში მასზე მანამდე არაფერია ნათქვამი, ამრიგად, ჩვენთვის უცნობია ნესტან-დარეჯანის სახე 7 წლამდე ასაკში (ტარიელი უყვება ავთანდილს: „შვიდისა წლისა შეიქნა ქალი წყნარი და ცნობილი...“). თუ ნესტანი შვიდი

ნლის ასაკში გაიცნო მკითხველმა, ტარიელი პოემის შინაარსში, როგორც პერსონაჟი და მოქმედი პირი, სწორედ მაშინ იჭრება, როდესაც ის 5 წლის გახლავთ („მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი...“). მაშ, რიცხვების საშუალებით რუსთაველმა ფარულად გვამცნო, რომ ნესტანი მთვარე და აქედან გამომდინარე ქვეციური ქვეყნის შვილი, ხოლო ტარიელი მზე და ზეციური ქვეყნის შვილი გახლდათ. ისინი ზუსტად მთვარისა და მზის მეტაფორებით შემოდიან „ვეფხისტყაოსნის“ ნარატივში და ასე გვაცნობს ავტორი ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობ პერსონაჟებს. ამგვარი ახსნით, ნესტანის მშობლები გაიაზრებიან ქვეციური ქვეყნის მბრძანებლის მსახურებად, რადგანაც მათ დაჰბადეს მთვარე და მთვარის დამბადებელი ან თვით მთვარეა, ან კიდევ მისი განმადიდებელი. ფარსადანმა თავისი შვიდი წლის ქალიშვილი კოშკში გამოკეტა, რაც უთუოდ უნდა გავიგოთ, მამის მხრიდან ნესტან-დარეჯანის ბოროტების ღმერთისათვის შეწირვის რიტუალად, რისთვისაც საჭირო იყო მომავალი დედოფლის საზოგადოებისაგან იზოლირება. სავარაუდოდ, **7 ავ სულს** ბავშვზე ნეგატიური გავლენის მოხდენა **7 წლის** ასაკის ჩათვლით შეეძლო, **8 წლისაზე** მისი მოქმედება აღარ ვრცელდებოდა, ე.ი. **მერვე ელემენტი ხსნის ჯადოს და იმარჯვებს მაგიაზე**. ჩანს, ნესტანის მშობლებმა უწყოდნენ ტარიელის „მზეობა“ და ამიტომაც უკეტავდნენ ნესტან-დარეჯანამდე მისასვლელ გზას პროტაგონისტს; მხოლოდ **ტარიელს** (მზეს) შეეძლო **ნესტანის** (მთვარის) ბოროტების კლანჭებისაგან ხსნა, სწორედ მას ეპყრა ხელთ ის ძალა, რომელიც დედოფლობას ჩამოცილებულ უმშვენიერეს ქალს უბედობას ბედნიერებით შეუცვლიდა და ინდოეთის სამეფოში სამართლიანობას აღადგენდა. ტარიელზე მოქმედებს შვიდი ავი სული, რადგან ის ცხოვრობს **ერთ სამეფოდ გაერთიანებულ შვიდ სამეფოში**; ამის გამო მას ახალი მთვარის (ნესტანის) დანახვაზე გული მისდის. იცით, სარიდანმა თავისი **ერთი** სამეფო **6** სამეფოს განმგებელ ფარსადანს აჩუქა **(6+1=7)**. ფაქტობრივად, **ავთანდილი** ტარიელისათვის **მერვე ელემენტს** წარმოადგენს და სავსებით სამართლიანია პროფ. ზურაბ კიკნაძის დასკვნა, როდესაც ის ამბობს, რომ ავთანდილი ტარიელს ბრძნად მიევლინა და მან იხსნა იგი უანდრეზო ხანიდან. ტარიელის ნაწილიანობას (ნახევარღმერთობას) წარმოაჩენს რიცხვი თორმეტი, რასაც უკვე პოემის დასასრულს თავად ნესტან-და-

რეჟანი გვიმუღავენებს ქაჯეთიდან ტარიელისადმი მიწერილ წერილში: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი...მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული, ჩრდილი“. ჭაბუკში ორმაგი ბუნება, რომ ის ღვთის დანაბადია, პოემის დასაწყისშივე დაილანდება, ვინაიდან მან უწყის ის დაუნერელი კანონი და სამრისხველო მიჯნა, რომლის იქით სისხლის ღვრის გაგრძელება უმძიმეს ცოდვად და ღვთიური წესრიგის დარღვევად ითვლება. ამ კანონის მიხედვით იკრძალება **12-ზე** მეტის მოკვლა. არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც **18** ჯიხვის (**ე.ი. 12-ზე მეტის**) მკვლელი მონადირე ბუნების უძლეველმა და სამართლიანმა ძალამ სასტიკად დასაჯა, ხეობის გასასვლელი კარი კლდით ჩაუკეტა და ასე სრულ მარტოობაში, კაცთაგან მოწყვეტილი, ველური ბუნების უმკაცრეს პირობებში ტრაგიკულად აღესრულა.

რიცხვთა სიმბოლიკაში ერთობ საპატიო ადგილს კოსმიური ჰარმონიის განმსახიერებელი ციფრი თორმეტი იკავებს: დღელამის **12-საათიანი** ციკლი, წელიწადის **12 თვე**, ზოდიაქოს **12 ნიშანი**. საფიქრებელია, მეცამეტის მოკვლა ღვთის მოკვლას ნიშნავდა და არაა აუცილებელი, რომ ამ ღმერთში მიანცადამინც ქრისტე განვჭვრიტოთ, შეიძლება იყოს წარმართებისაც! გულმდულარე ტარიელმა დახოცა როსტევანის **12** გამორჩეული რაინდი, მაგრამ ავთანდილისა და როსტევანის დანახვაზე ის უმალ გაუჩინარდა, ანუ მათ ზიანი აღარ მიაყენა. ხალხური კოდექსის ამ საკრალური ცოდნის კვალი ამკარაა „ვეფხისტყაოსანში“: „ათჯერ ოცი“ ნადირის მოკვლა ავტორს ათქმევინებს – „დახოცეს და ამონყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს“. როსტევანმა დახოცილი ნადირის დათვლა **12 მსახურს** დაავალა, და ესეც არაა შემთხვევითი. სამართლიანია ამგვარი ვარაუდის დაშვება: პოემაში ტარიელის დედა იმიტომ არ ფიგურირებს, რომ ტარიელის დედა მზე გახლდათ. ვფიქრობთ, შენიშნული გარემოება აიხსნება მომავალი ამბის წინასწარ გაუცხადებლობის მოტივით, რადგან თუ ტარიელი მზის ღმერთის შვილი იყო, ის აუცილებლად დაიხსნიდა თავის სატრფოს და ამგვარად, რუსთაველი თავიდანვე დაუკარგავდა პოემას მთელ ინტერესს. მიგვაჩნია, „ვეფხისტყაოსანი“ არის პირველი დეტექტიური ჟანრის ქართული ნაწარმოები საკმაოდ დაძაბული სიუჟეტით.

დავინახეთ, მართლაც უსაზღვრო მითოსური რწმენა-წარმოდგენები იმალება რიცხვებს (5, 7, 12) მიღმა და ამიტომაც მათი წარმოჩენა ოდენ რითმის შემქმნელ ელემენტებად, დაჰფარავს იმ ღრმა იდეას, რისი თქმაც სურდა ავტორს ამგვარი ენიგმატური ხერხით. ეს და კიდევ მრავალი დაადასტურებს იმ უტყუარ ფაქტს, რომ თვითონ ნაწარმოები გაჟღენთილია ქართული თუ მსოფლიო ფოლკლორის უღრმესი პლასტებით.

პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“

გიორგი კახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი, მე-2 კურსი

საკვანძო სიტყვები: პლატონი, რუსთაველი, სახელმწიფო, გამოქვაბულის ალეგორია, „ვეფხისტყაოსანი“

რუსთაველის ანტიკურ კულტურასთან მიმართებაზე საუბრისას პირველი ავტორი, რომელიც ნებისმიერ მკვლევარს აგონდება, არის პლატონი. ამის უპირველესი მიზეზი, ალბათ, პოემაში ავტორის მიერ პლატონის, როგორც ერთ-ერთი ფილოსოფიური სიბრძნის ავტორის, დამონმებაა. პლატონისა და რუსთაველის ურთიერთმიმართებაზე არაერთი მეცნიერის (შალვა ნუცუბიძე, ელგუჯა ხინთიბიძე, ზაჩანა ბრეგვაძე და ა.შ.) მნიშვნელოვანი სტატია თუ მონოგრაფია დაწერილა. ვერავინ უარყოფს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ბევრია პლატონური ელემენტი. მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი რუსთაველს სულაც პლატონისტად აცხადებდა. პლატონისა და რუსთაველის მსოფლმხედველობათა სიახლოვე არც უცხოელ მკითხველებსა და მკვლევრებს გამოჰპარვიათ. ცნობილი ინგლისელი მეცნიერი და ბრიტანეთის სამეფო აკადემიის წევრი მორის ბოურა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთ-ერთი სტროფის განხილვისას წერს: „პლატონური ჰანგი უკვე აშკარაა და შემდეგ ჩვენ ვხედავთ, თუ რა სისავსით შეუთვისებია პლატონური

თვალსაზრისი რუსთაველს... ბერძნული პლატონიზმი უთუოდ იყო მისთვის ერთ-ერთი წყაროთაგანი“.

პლატონის მთარგმნელი და კომენტატორი, ბაჩანა ბრეგვაძე მონოგრაფიაში „პლატონი და რუსთაველი“ უშუალოდ იმ ადგილებზე მიუთითებს, რომლებიც პლატონის გავლენით უნდა შექმნილიყო, ბოლოს კი დასძენს, რომ პლატონის ფილოსოფია რუსთაველის მსოფლმხედველობის მთავარი დასაყრდენია.

მიუხედავად პლატონისა და რუსთაველის ურთიერთმიმართების მრავალმხრივი კვლევისა, არც ერთ მეცნიერს არ აღუნიშნავს პლატონის „სახელმწიფოში“ მოთხრობილი გამოქვაბულის ალეგორიის იდეისა და მოტივების არსებობის ფაქტი რუსთაველის პოემაში. გამოქვაბულის ალეგორია პირველად სახელმწიფოს მეშვიდე წიგნში გვხვდება. ეს არის ალეგორიულად მოთხრობილი გზა უმეცრებიდან ფილოსოფოსობამდე. ალეგორია ფილოსოფოსთა ფუნქციებისა თუ მნიშვნელობის განმარტებასაც მოიცავს. ზემოხსენებული გზა, რომელსაც პლატონი აღწერს, ძლიერ ჩამოჰგავს ავთანდილის გზას, არაბეთში არსებული ვითარება კი მოგვაგონებს პლატონის მიერ ალეგორიულად აღწერილ გამოქვაბულის მდგომარეობას. ავთანდილის ანდერძში გვხვდება შემდეგი სტრიქონი: „თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რადმე ეშვენებს“.

ტრადიციული განმარტებებით, „ტურფა საჭვრეტელი“ ტარიელს მიემართება, რაც, ჩემი აზრით, არ არის სწორი. ანდერძში ავთანდილის მიერ ჩამოყალიბებული თითოეული მიზეზი ტარიელთან წასვლისა ზნეობრივ-მორალურია. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მოულოდნელია წასვლის ერთ-ერთ მიზეზად ტარიელის „ტურფა საჭვრეტობის“, ანუ გარეგნული სილამაზის დასახელება. ვფიქრობ, ტურფა საჭვრეტელში იგულისხმება ის ობიექტური რეალობა, რომელიც ავთანდილმა არაბეთიდან (გამოქვაბულიდან) გასვლის შემდეგ აღმოაჩინა და რომლის გარეშე სიცოცხლეც აღარ შეუძლია („მე ვით გავძლო უმისობა“).

მოსხენებაში აღვნიშნავ დეტალებს, რომლებითაც პლატონის გამოქვაბულის ალეგორია და „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ეპიზოდები ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს და ვეცდები, არგუმენტირებულად დავამტკიცო მოსაზრების მართებულობა.

შვიდიანის სიმბოლური დატვირთვა ლიტერატურაში

მარიამ რაქვიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი, მე-2 კურსი

საკვანძო სიტყვები: ციფრი, სიმბოლიკა, ფოლკლორი, რელიგია

სიმბოლდრამის მიხედვით, ციფრი შვიდი ხასიათდება სამყაროს უნივერსალური იდეით; 7 მუსიკალური ნოტი, 7 კვირის დღე და მაგიური შვიდეული, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მეხსიერებას, თუმცა მხოლოდ ეს როდია.

შვიდიანი უძველესი დროიდან სრულყოფისა და სიმშვიდის რიცხვია. შვიდდღიანი კვირა ჯერ კიდევ ძველმა ქალდეველებმა შემოიღეს და მალე დროის განზომილებად იქცა მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ბიბლიურ სივრცეში, სადაც მტკიცდებოდა ღმერთის მიერ მოსესთვის ბოძებული კანონები. დაბადების წიგნის მიხედვით ღმერთმა ქვეყნიერების შექმნას შვიდი დღე მოანდომა, დასვენების დღის, შაბათის ჩათვლით. წმინდა იოანეს გამოცხადებაში ნახსენებია შვიდსანთლიანი შანდალი, ხოლო ძველ აღთქმაში რიცხვი შვიდი სამოცდაჩვიდმეტჯერ არის ნახსენები. ქრისტიანული ლოცვა „Pater Noster“ („მამაო ჩვენო“), შედგება შვიდი ვედრებისგან უფალი ღმერთის მიმართ (მათ 6:9-13). იოანე ღვთისმეტყველი თავისი აპოკალიფსით მიმართავს აზიის შვიდ ეკლესიას, ეფესოს, სმირნის, პერგამოს, თიატირას, სარდესის, ფილადელფიის და ლაოდიკიის ეკლესიებს. მათე მახარებელი აღნიშნავს გულმონყალების შვიდ ვალდებულებას: მშიერთა დაპურება, მწყურვალთა სმევა, შიშველთა შემოსვა, უცხოთა შევრდომა, სნეულთა მიხედვა, პატიმართა მოკითხვა, მიცვალებულთა დამარხვა. ქრისტიანისთვის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და მათი წამალი – შვიდი სათნოება: ამპარტავნება-სიმდაბლე, ანგარებამონყალება, სიძვა-უმანკოება, მრისხანება-სიმშვიდე, ნაყროვანება-მარხულობა, შური-სიყვარული, სასონარკვეთილება-სასოება. ქრისტეს მიერ დანესებულია ახალი აღთქმის შვიდი საიდუმლო: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, სინანული, ზეთის კურთხევა, ქორწინება, მღვდლობა. არსებობს სულიწმიდის შვიდი ნიჭი:

შიში ღვთისა, ღვთისმსახურება, ძლიერება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმიერება, სიბრძნე. შვიდიანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში: აზიის შვიდი ეკლესია, რისხვის შვიდი თასი შვიდი ბეჭდით დაბეჭდილ წიგნში, კრავი შვიდი რქით და შვიდი თვალით, შვიდი ანგელოზი საყვირებით, წითელი გველეშაპის შვიდი თავი და შვიდი ჯილა. ლუკას სახარებაში ნახსენებია „მარიამი, მაგდალელად წოდებული, რომლისგანაც შვიდი ეშმაკი გავიდა“.

საინტერესოა, შვიდიანის სიმბოლური დატვირთვა როგორ აისახა ლიტერატურაში, რასაც განვიხილავ უძველესი აქადური ძეგლის – „გილგამეშიანისა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე. შევეცდები, ყველა მაგალითის ახსნა და ინტერპრეტაცია წარმოვადგინო.

მაგალითად, „გილგამეშიანში“ ურუქი უპირატესად ქალღმერთის ქალაქია. შუმერულ ეპოქაში ამ ქალღმერთს ინანა ერქვა, „ცის დედოფალი“; ურუქში იდგა მთელი შუმერისთვის სათაყვანო ტაძარი ე-ანა – „ციური სახლი“, სადაც, თქმულების თანახმად, ენმერქარის აფქალს ანუ ბრძენკაცს, ერთ-ერთს იმ მითოსურ შვიდ ბრძენთაგანს, ჩვენი ეპოსის პროლოგში რომ არიან ნახსენები.

ეპოსის ბოლოშიც კია ნახსენები ეს საკრალური ციფრი; პრეისტორიული შვიდი ბრძენკაცის ღვანლმა უშორესი წარსული ანმცოსთან დააკავშირა:

„იქნებ გამომწვარი არ იყოს აგური,
იქნებ შვიდ ბრძენკაცს ლიბო არ ჩაედოს!“

ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შუამდინარულ სამყაროშია სისავსის, სრულყოფილების სიმბოლო 7, ქართულ მწერლობაში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“ აქტიურად გვხვდება: „ამად რომე შეცოდება შვიდ-გზით თქმულა შესანდობრად“; „ჰგვანდნენ შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქვა მე რად“ და სხვა, რის უკეთ წარმოჩენასაც ემსახურება ჩემი თემა.

ზღაპარი, როგორც მეტატექსტი და მისი რეფლექსია თანამედროვე რომანში

ნინო მალუტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

მაგისტრატურა, მე-2 კურსი

საკვანძო სიტყვები: შედარებითი ანალიზი, რეფლექსია, მეტატექსტი, დიალოგიზმი, ჰეტეროგლასია

ჟანრები თანაარსებობს და ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ლიტერატურასა და, ზოგადად, ხელოვნებაში. ასევეა ზღაპრის შემთხვევაშიც, მაგალითად, ზოგიერთ ზღაპარში დაკონკრეტებულია მოქმედების ადგილი და ამის გამო ემსგავსება თქმულების ჟანრს. გარდა ამისა, არსებობს ისეთი ტექსტებიც, რომლებშიც რამე სასწაულის შესახებაა მოთხრობილი და ამის გამო იგი ლეგენდისა და ზღაპრის ჟანრის მიჯნაზეა. შესაბამისად, ჟანრები არა მხოლოდ ემიჯნება ერთმანეთს, არამედ თანაარსებობს და გააჩნია გადაკვეთის ნერტილები.

ჩვენს ნაშრომში სწორედ ზემოხსენებული ტიპის ლიტერატურულ მოვლენაზე ვისაუბრებთ, კერძოდ, ზღაპრისა და რომანის კავშირზე, როგორც ჟანრთა ურთიერთმიმართებაზე.

იმდენად, რამდენადაც ზღაპარი საუკეთესოდ გამოხატავს ხასიათს, მსოფლმხედველობას, შინაგან კულტურას, ერის ფსიქოლოგიას, შესაძლოა, იგი მოგვევლინოს რომანის მეტატექსტად. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია რომანისა და ზღაპრის ჟანრის სოციალური ხასიათი.

სწორედ რომანის სოციალურ ხასიათზე მიუთითებს რუსი ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე მიხეილ ბახტინიც, რომელიც *დიალოგიზმისა* და *ჰეტეროგლასიის* ცნებებს ამკვიდრებს და სიღრმისეულად განიხილავს რომანში არსებულ იდეოლოგიებს, როგორც ე.წ. „ხალხის ხმას.“

ჩვენს შეხედულებას ამყარებს შარლ პეროს (1628-1703) ცნობილი ზღაპრის „ლურჯწვერას“ სხვადასხვაგვარი გააზრება თანამედროვე მწერლებთან, კერძოდ, ამელი ნოტომსა და მაქს ფრიშთან. ჟანრული ურთიერთმიმართების საკითხის გარდა, ნაშრომში

ყურადღებას გავამახვილებთ შარლ პეროს „ლურჯწვერას“ შესაბამისობაზე ზღაპრის ჟანრის ზოგად, უნივერსალურ მახასიათებლებთან; რამდენად მასშტაბური კავშირები არსებობს დასახელებულ ტექსტებს შორის; რა ფორმით ვლინდება მე-17 საუკუნეში დაწერილი ზღაპარი, როგორც პირველწყარო, თანამედროვე მწერლების ტექსტებში.

შარლ პეროს „ლურჯწვერასა“ და ამავე დასახელების მოდერნისტული ტექსტების შედარებითი ანალიზის მიხედვით, დადგინდება განსხვავებულ ეპოქაში დაწერილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის სტრუქტურულ-შინაარსობრივი კავშირების არსებობა-არარსებობის საკითხი.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ეთნოგრაფიული ასპექტები

თამარ დიდუბაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ჰუმანიტარული მეცნიერებათა მაგისტრი, სპეციალობა – ისტორია

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, ისტორია, სამართალი, ხელმწიფის კარის გარიგება, დღესასწაულები

„ხელმწიფის კარის გარიგება“ წარმოადგენს სამართლის ძეგლს, რომელშიც საუბარია გაერთიანებული საქართველოს საზოგადოებრივ წყობაზე. ძეგლის ღირებულებას განსაზღვრავს მისი შინაარსის მრავალფეროვნება. იგი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილების შესახებ, არამედ გვაცნობს სამეფო კარის ყოფა-ცხოვრებასა და დარბაზობის წეს-ჩვეულებებს. თუმცა, ამჯერად ჩვენ ყურადღებას შევამჩნევთ ძეგლში დასახელებულ დღესასწაულებზე, იმ წეს-ჩვეულებებისა და რიტუალებზე, რომლებსაც სამეფო კარზე ასრულებენ ამ დღეობების აღსანიშნავად. საუბარია თუ როდის და რატომ სრულდებოდა ესა თუ ის რიტუალი, ვინ მონაწილეობდა მასში და რა ატრიბუტიკა იყო საჭირო ამ რიტუალთა შესრულებისთვის.

ძეგლის პირველ ორ მუხლში აღწერილია წელიწდის თავის დღესასწაული, ანუ ახალი წელი. ჩვენთვის საყურადღებოა ტექსტის შემდეგი ადგილი: „სალვინეთ წინ ქვე დასმენ მაღლა სკამითა, ტაბლას წინ დაუდგამენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგამენ.“ ქართული ყოფისთვის დამახასიათებელი იყო საახალწლოდ ღორის დაკვლა. საახალწლო სუფრაზე ღორის თავი მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ამ დღესასწაულისა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ჩვეულებას მისდევდნენ XIV საუკუნეში სამეფო კარზეც.

ძეგლში ასევე დასახელებულია კიდევ ერთი დიდი დღესასწაული ნათლისღება, რომელიც ტექსტში მოხსენიებულია როგორც „გაცხადება“. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ნათლისღების დღესასწაულს სვანეთსა და ხევსურეთში სწორედ „გაცხადებას“ უწოდებენ. ტრადიციის თანახმად 19 იანვარს, ნათლისღების დღეს ხალხი ეკლესიაში მიდიოდა წირვაზე დასაწრებად, იქიდან კი ახლო მდებარე მდინარეზე, სადაც ხდებოდა წყლის კურთხევა.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნახსენებია ასევე აღდგომის, თევდორობისა და გიორგობის დღესასწაულები, რომლებიც მხოლოდ სახელწოდებით არის მოხსენიებული და მისი აღნიშვნის შესახებ ძეგლში ინფორმაცია არა მოგვეპოვება.

თევდორობის დღესასწაულის შემდეგ, ამავე მუხლში, საუბარია ერთი ჩვეულების/დღესასწაულის შესახებ, რომელიც სრულდება ლამპრებით. როგორც ტექსტიდან ირვევა, ამ დღეს მონადირეები მეფესა და სამეფო კარზე მყოფთ მიართმევენ ლამპრებს. საპასუხოდ მეფე და დედოფალი უბრძანებენ მოხელეებს, რომ მონადირეებს უბოძონ პური, ღვინო და საკლავი. ეს დღესასწაული თავისი რიტუალებით, თარიღითა და სხვა ელემენტებით წააგავს ლამპრობის დღესასწაულს, რომელიც აღნიშნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სავარაუდოა, რომ ხელმწიფის კარის გარიგების მეოცე მუხლში საუბარია სწორედ ლამპრობის დღესასწაულზე, რაზეც რამდენიმე ფაქტი მეტყველებს.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ლამპრობის დღესასწაული ნახსენებია თევდორობის შემდეგ. როგორც ვიცით, თევდორობა მოძრავი დღესასწაული და დიდმარხვის პირველი კვირის შაბათს აღინიშნება. ხოლო ლამპრობა, როგორც ექვთიმე კოჭლამაზაშვილი აღნიშნავს, თითოეულ კუთხეში სხვადა-

სხვა დროს ტარდებოდა და მას გააჩნია ნაირსახეობანი. გარდა 15 თებერვლისა, რომელიც მირქმის დღესასწაულთან არის დაკავშირებული, ლამპრობა ასევე აღინიშნება მეზვერისა და ფარისევლის კვირას, 2 და 3 თებერვალს, ყველიერის კვირას, დიდ ოთხშაბათს – ფშავში, ყველიერის პარასკევსა და დიდ ხუთშაბათს – მთიულეთში და სხვა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ორივე დღესასწაული – თეოდორობაც და ლამპრობაც ადრე გაზაფხულზე სრულდება და მათგან ერთერთი მოძრავია, ხოლო მეორე სხვადასხვა დროს აღინიშნება, სრულიად შესაძლებელი ხდება ვიფიქროთ, რომ თევდორობის შემდეგ კვირაში ყოფილიყო ლამპრობა.

ტექსტის მიხედვით, მეფე და დედოფალი უბრძანებენ მონადირეებს მიართვან პური, ღვინო და საკლავი. როგორც სვანეთის ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, ყოველ ლამპრობის დღესასწაულზე „სკარს“ ჰყავს მორიგე ოჯახი, რომელსაც თავისი ხარჯით გამოყავს საკლავი, სალოცავი პურები – „ლემზირები“ და ზედაშე (არაყი ან ღვინო). მეფის მიერ მონადირეთათვის ნაბოძები ძღვენის მსგავსება სრულიად ნათელია „სკარის“ მორიგე ოჯახის მიერ გაღებული შესანიშნავი.

დასასრულს მონადირეები: „ლამპარსა ანთებულსა მწარსა შეიდებენ, ეგრე მგრგვალსა დააბმენ“, ანუ მრგვალად, წრიულად დაამაგრებენ. შეიძლება პარალელი გავავლოთ იმ რიტუალთან, რომელსაც სვანეთში ლამპრობისას ასრულებენ. ოჯახის უფროსს მხარმარჯვნივ შემოტარებით გამოაქვს სახლიდან ლამპარი, რომელსაც ეზოს შუაში დაანთებს. შემდეგ, ოჯახის სხვა მამაკაცებსაც გამოაქვთ თავიანთი ლამპრები და ყველანი წინასწარ დადგენილი ადგილისაკენ მიდიან, სადაც ერთად შეკრებენ ლამპრებს და დიდ ცეცხლს ანთებენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვარაუდი გამოვთქვათ, რომ ხელმწიფის კარის გარიგებაში, გარდა სხვა დღესასწაულებისა, აღწერილია ლამპრობის დღესასწაულიც, რაზეც მეტყველებს ქრონოლოგიური თანხვედრა, შესანიშნავი ძღვენის მსგავსება, ლამპრების ერთად თავმოყრის წესი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ძლიერ არის დაზიანებული, მუხლების თანმიმდევრობა არეული, რაც თავის მხრივ ართულებს ზოგიერთი მუხლის შინაარსის გაგებასა და მთავარი აზრის გამოტანას, მისი წყალობით ჩვენ მოგვეპოვება

უძვირფასესი ცნობები XIV საუკუნის საქართველოს სამეფო კარზე არსებული ვითარებისა. ამ ძეგლის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ასეთი შინაარსის ძეგლს ფეოდალური პერიოდის სხვა ქვეყნების ისტორია არ იცნობს. ეთნოგრაფიული კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ის დღესასწაულები, რომლებიც დასახელებული და აღწერილია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. როგორც ჩანს, ამ დღეობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და დღესაც აღინიშნება საქართველოში. დროთა განმავლობაში მათი აღნიშვნის წეს-ჩვეულებებმა გარკვეული სახეცვლილება განიცადეს, თუმცა არ დაუკარგავთ მთავარი იდეა/შინაარსი და წარმომავლობა. განსხვავებით ძეგლში დასახელებული სხვა დღესასწაულებისაგან, თევდორობა და ლამპრობა ლოკალურ დღეობად იქცა და დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე სოფელშიღა აღინიშნება. მაგალითად, თევდორობა ტარდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანში. რაც შეეხება ლამპრობას, იგი მხოლოდ სვანეთის ხალხურმა ყოფამ შემოგვინახა. თევდორობასთან შედარებით, ლამპრობას უკეთ აქვს პირვანდელი სახე შემორჩენილი. დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და რიტუალები თითქმის მსგავსია შვიდი საუკუნის წინანდელი ლამპრობის დღეობის ელენემტებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კოდორის ხეობის სვანების ქვემო ქართლში ჩამოსახლებისა, მათ არ დაუვიწყებიათ თავიანთი წეს-ჩვეულებები და აქაც ატარებენ ლამპრობის სადღესასწაულო რიტუალს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბაკელია 1991** – ნ. აბაკელია და სხვ. ქართულ ხალხური დღეობათა კალენდარი, 1991.
2. **ანთელავა 1983** – ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბ. 1983.
3. **გუჯეჯიანი 2010** – რ. გუჯეჯიანი, ქრისტიანული კულტურის როლი ქართული ეთნიკური კულტურის შექმნაში, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ. 2010.
4. **დოლიძე 1965** – ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, 1965.
5. **თაყაიშვილი 1920** – ექ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, 1920.

6. **კეკელიძე 1986** – კ. კეკელიძე, როდის გაჩნდა წმ. გიორგის კულტი საქართველოში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. XIV, თბ., 1986
7. **კოჭლამაზაშვილი 1998** – ექ. კოჭლამაზაშვილი, ლამპრობის სულიერი შინაარსისათვის, რელიგია, თბ. 1998, №11-12.
8. **ნადარაია 1985** – მ. ნადარაია, თედორობა, კრებული „ლექსუმი“, მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1985.
9. **ორბელიანი 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ. 1991.
10. **სუბელიანი 1992** – კ. სუბელიანი, ხელხური დღეობა ლამპრობა, გაზ. მადლი, თბ. 1992, №4
11. **სურგულაძე 1970** – ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, 1970.
12. **სურგულაძე 2017** – მ. სურგულაძეს რედაქტორობით, ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში [ენციკლოპედიური ლექსიკონი], კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ცენტრი, თბ. 2017.
13. **ჯავახიშვილი 1928** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია ნ. I. 1928.
14. **ჯავახიშვილი 1953** – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.5, 1953.
15. **წმინდანთა ცხოვრება** – ტ. I, თბ. 2003

ხალხური ავეჯი ხევის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში XIX-XX სს. მიჯნაზე

ნუნუ ხარაიშვილი

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიმონ ჯანაშიას სახელობის
საქართველოს მუზეუმი
საქართველოს ისტორიის მაგისტრი*

საკვანძო სიტყვები: ხალხური ავეჯი, ხის დამუშავების ტექნოლოგია, ორნამენტი, წეს-ჩვეულებები, თანამედროვე ხის ავეჯი

საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ერთერთ უტყუარ და მნიშვნელოვან წყაროს მატერიალური კულტურის ძეგლები წარმოადგენენ, რომელთა შორისაა ქართული ავეჯი. ტყით

მდიდარი საქართველო ხის ავეჯის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის სპეციფიკურმა თავისებურებამ, ცხოვრების ხასიათმა, საქართველოში ხის დამუშავების მრავალწლიანმა დაკვირვებებმა და ტრადიციებმა ქართული ავეჯის დახვეწილი სახე შექმნა. მთამ ქართული ავეჯის უნიკალური სახეობები შემოგვინახა. აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, ხალხური ავეჯი შემდეგნაირად იყოფა: 1. დასაწოლი ავეჯი; 2. დასასხდომი ავეჯი; 3. სასერობო (ტაბლა-სუფრა) და 4. სათავსებელი (კიდობანი, სკივრი). ხევში გავრცელებული იყო და დღემდეა შემონახული ხალხური ავეჯის თითქმის ყველა სახეობა და მათი დამზადების საინტერესო ტრადიციები. ხის ჯიშებს მერქნის აგებულებისა და დასამუშავებლად ვარგისიანობის მიხედვით არჩევდნენ. ხის შეცნობა-გარჩევის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ოსტატები გარეგნული ნიშნებითაც კი ადვილად არჩევდნენ ადვილად და ძნელად დასამუშავებელ ხეებს. დასამუშავებლად „დავაჟკაცებულ“ ხეს არჩევდნენ, ხალხური გადმოცემით დაახლოებით 40-50 წლის ხე ითვლებოდა დავაჟკაცებულად.

ხევში დასაწოლი ავეჯიდან აღსანიშნავია მოწნული საწოლი და მისი ერთერთი ატრიბუტი თავსადები ხის სასათუმალი ანუ ბაცანკალი. საწოლი ავეჯისათვის უპირატესობა ენიჭებოდა ფიჭვის მასალას, ფიჭვის ხისგან დამზადებული ლოგინი სტუმრისათვის განკუთვნილი საპატიო საწოლი იყო. ძირითადად იყენებდნენ მოწნულ საწოლებს. როგორც ჩანს პრაქტიკული და მოსახერხებელი იყო წნული კედლები, რადგან ხელს უწყობდა ჰაერის მოძრაობას. მას თხილის ნერგით (წნელით) წნავდნენ, ქსოვა (წვნა) მარცხნიდან მარჯვნივ სრულდებოდა. საწოლებში ჩალას ან თივას აგებდნენ. საწოლის ერთ-ერთი ატრიბუტი იყო თავსადები ხის სასათუმალი ანუ ბაცანკალი. იგი შედგებოდა თავსადები ფიცრისა და ფეხებისგან. ბაცანკალზე იგებოდა რბილი სასათუმალი.

აღსანიშნავია ხევში გავრცელებული ზურგიან-გვერდებიანი სკამი, რომელსაც შეიძლება დეკორატიულიც ეწოდოს, რადგან ინტერიერის მორთვასაც ემსახურებოდა. მის განმასხვავებელ ნიშანს სკამის ზურგი წარმოადგენდა, რომელიც აუცილებლად ორნამენტირებული უნდა ყოფილიყო. ამგვარ სკამებს ძირითადად

სხვადასხვა ჯიშის ხისგან ამზადებდნენ – ზურგს ცაცხვისგან, ხოლო დანარჩენს კი ფიჭვისაგან.

კიდობანი ხალხური ავეჯის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. მას ძველად სადღესასწაულო რიტუალის შესრულებისას თვალსაჩინო ადგილი ეკავა. ხევში შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების კიდობანი, რომლებიც ერთმანეთისგან ფორმისა და სიდიდის მიხედვით განსხვავდება (მაგ. სურსათის შესანახს – დიდი კიდობანი ჰქვია, ტანასცმლისას კი სატალავრე ანუ საბარგე კიდობანი, კიდობნურა და სხვა). კიდობნის ნაწილებს ხელოსანი ცალ-ცალკე ამზადებდა. პირველად დირე ანუ ფიცრების საჭერი ჩარჩო უნდა გაეკეთებინა და რაც მთავარია კარგად შეკრული უნდა ყოფილიყო.

ქართული ავეჯი ასევე გამორჩეულია თავისი შემკულობით. ტერმინის „ორნამენტი“ ნაცვლად კი ხევში იხმარებოდა – ნაჭრელი. ავეჯის ზედაპირის გაფორმებაში მულაენდება ოსტატის მხატვრული ნიჭი. მდიდარი ორნამენტითაა შემკული ხევში გავრცელებული ავეჯი, რომელიც შესრულების მანერითა და მხატვრული ხერხით სვანურ ორნამენტს წააგავს. ერთ-ერთ რთულ სახეობად სამკუთხედების ამოკვეთა ითვლებოდა, იგი წინასწარი მონახაზის მიხედვით სრულდებოდა. ხალხურ ავეჯზე მოცემული გამოსახულებები დაკავშირებულია ადგილობრივ სამყაროსთან, მათ რწმენა-წარმოდგენებთან. ორნამენტების უმრავლესობა მზის, მთვარის, ჯვრის გამოსახულებებია, ასევე ხშირადაა გამოყენებული ბორჯღალა, იშვიათად ადამიანისა და ცხოველების გამოსახულებები. გეომეტრიული ორნამენტები შექმნილია რელიგიური აზროვნების საფუძველზე. ორნამენტის ცენტრს წარმოადგენს წრეხაზი, რომელშიც ამოკვეთილია სამკუთხედები, ზოგჯერ არის ტალღოვანი ხაზები. ხალხური ავეჯს ჰქონდა სიმბოლური დანიშნულება რაც, ძველ ტრადიციებზე დამყარებულ ჩვეულებებზე მეტყველებს. იგი უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან წეს-ჩვეულებებს, როგორცაა უფროსის პატივისცემა ოჯახში, უფროსი ქალისა და მამაკაცის ადგილი, ოჯახის წევრთა შორის ფუნქციითა განაწილება და სხვ.

ოჯახის წევრები დაბალ სკამებზე სხდებოდნენ (მკამი), საპატიო დასაჯდომ „სამარტო სკამზე“, რომელიც ხელშეუხებელი იყო მხოლოდ ოჯახის უფროსი მამაკაცი იჯდა, მას საუფროსო

ადგილი ეჭირა კერასთან – კერის თავში იდგა. იქვე კერის გვერდით იდგა უფროსი დიასახლისის საჯდომიც. მნიშვნელოვანი იყო ავეჯის განლაგება და ზოგიერთი ავეჯის ადგილიდან დაძვრა იკრძალებოდა კიდევ. ძველი მოხეური სახლი იყო გრძელი ორსართულიანი ხის შენობა. ავეჯი ძირითადად განლაგებული იყო საცხოვრებელი სახლის „შინაში“. ჭერი დაყრდნობილი იყო ბოძებზე და შუათანა ბოძს „დედაბოძს“ უწოდებდნენ. სახლის კედლებში გამოჭრილი იყო სარკმლები და დატანებული ჰქონდა თახჩები, რომლებშიც საოჯახო წვრილმანს ინახავდნენ. დედაბოძთან მოთავსებული იყო „ხარო“ – ქერის შესანახი ჭურჭელი. ასევე ქერის შესანახი იყო „აკო“, რომელიც ზემოდან იხდებოდა და ლამაზად იყო მოჩუქურთმებული. ხევში პურობისთვის სიფრო (სუფრა) იხმარებოდა. ოთხფეხა სიფრო იყო დაბალი და გრძელი.

ქართულ ხალხურ ავეჯს არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი მდიდარი მემკვიდრეობაა, რომელიც საჭიროებს გამოყენებასა და შესწავლას. გასათვალისწინებელია ტრადიციული ავეჯის დამზადების წესები, მასალისა და მისი თვისებების ხასიათი, ავეჯის ორნამენტის შესწავლა, ავეჯის ფორმების ლოგიკური არსი და ხალხის პრაქტიკული და ესთეტიკური მოთხოვნილება.

საქართველოს რეგიონებში დღეისათვის აქტუალურია ხის დამუშავებისა და ავეჯის დამზადების საკითხი. შემორჩენილია ტრადიციული ავეჯის ნარმოების რამდენიმე ცენტრი (ხევი, რაჭა, სვანეთი, ზემო აჭარა და სხვ.), სადაც ხდება ხის შერჩევა–დამუშავება და ავეჯის დამზადება. ხის ოსტატად ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სჭირდება. ძირითადად ხის ოსტატობა მემკვიდრეობითია, შვილები ცდილობენ გააგრძელონ მამის ტრადიცია და სწორედ ასე „არაფორმალური გზით“ იღებენ განათლებას. შეინიშნება ახალგაზრდების დაინტერესება ტრადიციული ხის დამუშავების საკითხთან დაკავშირებით, ამას ადასტურებს სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში, სკოლა-სახელოსნოებსა და სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხის დამუშავების ტექნოლოგიის შესწავლა. მაგალითად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დიზაინის ფაკულტეტის ერთერთი მიმართულებაა ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი. თანამედროვე ქართულ ავეჯზე ხშირად შევხვდებით

ტრადიციულ, ქართულ ორნამენტს. ნათლად ჩანს, რომ იზრდება მოთხოვნილება ძველი ხალხური ავეჯისა. სამწუხაროდ, ზოგიერთი ხალხური ავეჯი ფუნქციის დაკარგვის გამო თითქმის დაკარგვის პირასაა, ამის მაგალითია აკვნების დამზადების ტექნოლოგია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. მაკალათია, ხევი, „სახელგამის სასწავლო-პედაგოგიური სექტორი თბ., 1934;
2. ლ.ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., „მეცნიერება“, 1973;
3. გ.გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბილისი, 1962;
4. მ.დვალისხელი, თ.კიკნაძე, ა.შანშიაშვილი, ი.მანია, ტრადიციული რენვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა და განვითარების სტრატეგია, თბ., საქართველო 2012;

მოსევე ქალის ჩაცმულობა (XIX-XX სს.)

მარიამ ხინთიბიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიმონ ჯანაშიას სახელობის

საქართველოს მუზეუმი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, სპეციალობა – ისტორია

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, სამოსი, ხევი, მატერიალური კულტურა

ქართული მატერიალური კულტურის მკვლევართა განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს ეროვნული ჩაცმულობა. ამ საკითხებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩიტაია, ლუბა ბოჭორიშვილი, სერგი მაკალათია, ივანე ციციშვილი, ციალა ბეზარაშვილი, ნინო გვათუა, იზოლდა სამსონია და ა.შ. XX ს-ის განმავლობაში არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია მოენცო მთელი ქვეყნის მამულებით, გამოვლენილი და შესწავლილია მატერიალური კულტურის მრავალი ნიმუში, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ჩაცმულო-

ბა, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო ამა თუ იმ საგნის სიღრმისეულ კვლევას.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში დაცულია ამავე ფონდის ყოფილი კურატორის, ქართული ტრადიციული სამოსის მკვლევრის, ან გარდაცვლილი, ციალა ბეზარაშვილის პირადი არქივი. არქივში დაცულია გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალა მოხეური ჩაცმულობის შესახებ, რომელშიც მკვლევარმა პირადად მიიღო მონაწილეობა და ჩაატარა სავსე სამუშაოები. ციალა ბეზარაშვილის მიერ გაკეთებული ჩანაწერებს ნაწილი გამოუქვეყნებელია და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში.

მოხევეები თავიანთ სამოსს, ისევე როგორც ზოგადად იყო მიღებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „ტარავალს“ (კვანტიძე, ლურსმანაშვილი 2016: 59) უწოდებენ. ამავე ტერმინით იხსენიებენ ხევსურებიც ტანსაცმელს, მხოლოდ ერთი ასოს მონაცვლეობით – „ტალავარ“ (ბეზარაშვილი 2010: 80).

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, მათ შორის ხევში, სამოსის დასამზადებელ ძირითად მასალად გამოიყენებოდა შინამზადი შალის ქსოვილი ე.წ. „ტოლი“, რომელიც იქსოვებოდა მატყლისაგან (ბეზარაშვილი 1958: 5).

მოხევე ქალის კოსტიუმი, ისევე როგორც ზოგადად ქალის სამოსელი საქართველოში, შედგებოდა სამი ძირითადი ნაწილისაგან: ტანისამოსი, თავბურვა და ფეხსაცმელ/ფეხსამოსი, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენდნენ (ბეზარაშვილი 1958: 6). აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოში სამოსის მფლობელის სოციალური კუთვნილება, ძირითადად, მასალის ხარისხითა და ძვირფასი სამკაულით განიწიებოდა, სამოსის კომპლექტის ნაწილები კი იდენტური იყო როგორც სახელწოდებით, ასევე თარგით (გვათუა 1967: 19). გამონაკლისს არც ხევი წარმოადგენს, სადაც განსხვავებულობა თავს იჩენს მხოლოდ მასალის ხარისხსა და მორთულობაში (ბეზარაშვილი 1958: 7).

მოხევე ქალის კოსტიუმის ზოგადი შემადგენლობა ასეთია: საგულე (კაბა-საგულე), ახალუხი, წინსაფარი (ყუნლაი), ე.წ. „ჟილეტკა“, „ტუჟურკა“ (ზედატანი), „იუბკა“ და თავსაბურავი.

„კაბა-საგულე“ იყო ჩოხისებურ თარგზე გამოჭრილი, წინ ჩახსნილი, კოჭებამდე სიგრძის სამოსი, რომელსაც ამოღებული გული და გრძელი სახელოები ჰქონდა. ქვედაბოლო რამდენიმე კალთისაგან შედგებოდა და ისე იყო ნაოჭასხმული, რომ ქალს მუცელი არ დამჩნეოდა. საერთოდ, მოხევე ქალები გაურბოდნენ სხეულის ნაწილების გამოკვეთას (ბეზარაშვილი 1958: 9).

აღსანიშნავია, რომ საგულეს მსგავს გარე სამოსელს ატარებდნენ საქართველოში მცხოვრები ოსებიც. მოხეურ და ოსურ საგულეს შორის განმასხვავებელ ნიშნად დასახელებულია უკან არსებული ნაკეცები და ორმაგი სახელოები. ოსურ საგულეებს უფრო მეტად ახალგაზრდები ატარებდნენ (ბეზარაშვილი 2000: 64).

საგულეს ქვეშ ჩასაცმელად ხმარობდნენ ე.წ. „ჟილეტკას“. ეს იყო მოკლე ზედატანი, რომელიც მუცელთან ხრიკებით იკვრებოდა და მალალი ბრტყელი საყელო ჰქონდა. მისი ის ნაწილი, რომელიც კაბა-საგულეში ჩანდა, განსაკუთრებულად ირთვებოდა – ძირითადად აკერებდნენ ოქროსფრად მოელვარე ღილებს ან აბრეშუმის ძაფებით აფორმებდნენ მას.

ასაკობრივი სხვაობის ნიშანს წარმოადგენდა ე.წ. „მაჯების“ ტარება. ეს იყო ვიწრო, ხელზე დუგმებით დამაგრებული მოქარგული, მართკუთხა ნაჭერი, რომელსაც ასაკოვანი ქალები ხელიდან არ იცილებდნენ (ბეზარაშვილი 2010: 81).

ხანში შესული ქალები საგულეზე ატარებდნენ აგრეთვე „ყუნლაის“, იგივე წინსაფარს. იგი უმეტესად შავი ატლასისაგან იყო დამზადებული და სიგრძე დამოკიდებული იყო კაბა-საგულის სიგრძეზე, იმდენად უნდა ჩამოწვდენოდა, რომ მისი ბოლო გამოჩენილიყო. შედგებოდა ან მთლიანი კალთისაგან, ან 2-3 ნაჭრისაგან. წინსაფარის ტარების ტრადიცია არსებობდა არა მხოლოდ ხევში არამედ მთელ საქართველოში.

XIX ს-ში და შესაძლოა უფრო ადრეულ პერიოდშიც, ახალგაზრდა ქალს ქმრის სახლში თან მიჰყვებოდა კარგი აბრეშუმისაგან შეკერილი ახალუხი, რომელსაც საგულის (კაბის) ქვეშ იცვამდნენ. ახალუხი მოკლე იყო, გულმომრგვალებული და წელზე მომდგარი. თარგით კაცის ახალუხის მსგავსი. უსაყელო, გრძელი და ვიწ-

როსახელოებით (ბეზარაშვილი 1958: 14). საინტერესოა მოხეური მოკლე ასხალუხის ერთ-ერთ ნიმუში, რომელზეც ირმის ორნამენტებია გამოსახული. მას სერგი მაკალათიამ მიაკვლია სოფ. ყანობში (მაკალათია 1934: 147) და მოგვიანებით ჩატარებული ექსპედიციების დროსაც გამოვლინდა, რომ ასხალუხის შექმობის მსგავსი ტრადიცია მხოლოდ ამ სოფელში არსებობდა (ბეზარაშვილი 1958: 15).

ხევი, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ქალის თავდაუხურავი სიარული სირცხვილად ითვლებოდა. ძირითადად ხმარობდნენ გრძელ, ოთხკუთხა ფორმის მანდილსა და ძვირფას თავშალს. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა გასათხოვარი და გათხოვილი ქალის თავსაბურავები. გასათხოვარი მხოლოდ თავშალს იხვევდა, გათხოვილი ქალი კი თავშალთან ერთად თავსაკრავსაც იკეთებდა.

ამრიგად, მოხეური ჩაცმულობა ქართული მრავალფეროვანი სამოსის ორიგინალური სახეობაა, რომელიც გამოირჩევა ლოკალური თავისებურებებითა და ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების სიმრავლით. სხვადასხვა დეტალების შერწყმით შექმნილია მოხევე ქალის სამოსის ერთიანი, დასრულებული სახე, რომელიც გამოირჩევა სისადავითა და ესთეტიკურობით. შემორჩენილ ნიმუშებში არ მოიპოვება რაიმე ზედმეტი ნაწილი ან თუნდაც კომპოზიციაში ჩაუმჯდარი ორნამენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბეზარაშვილი ც. – ველზე შეკრებილი მასალა, 1957-1958 წწ.
2. ბეზარაშვილი ც. – ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ. 1974
3. ბეზარაშვილი ც. – ქალის ტრადიციული ტანსაცმელი საქართველოს მთაში, კრ. ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. I, თბ. 2000
4. ბეზარაშვილი ც. – შინამრეწველობა და ტრადიციული სამოსელი ხევი, კრ. ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IV, თბ. 2010
5. გვათუა ნ. – ჩაცმულობის ისტორიიდან, თბ. 1967
6. ვინმე სოფლელი – ქართული ეროვნული ჩაცმულობა, გაზეთი „კლდე“, N 40, თბ. 1914
7. თედორაძე გ. – ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ. 1930

8. კვანტიძე გ., ლუსმანაშვილი ლ. – ქართულ ჩაცმულობასთან დაკავშირებული ტერმინების გაგებისათვის, ჟურნ. ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VII, ბათუმი 2016
9. კვანტიძე გ. – ქართული სამოსის ორნამენტი, თბ. 2018
10. სამსონია ი. – ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათ. 2005
11. ციციშვილი ი. – მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ. 1954
12. ჭიჭინაძე ზ. – მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ. 1913

ქართულ ხალხურ სიმღერებთან დაკავშირებული თქმულებები და მათი მნიშვნელობა ფოლკლორში

ბექა კოვზიაშვილი

*თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო
გალობის უმაღლესი სასწავლებელი
პედაგოგი/მკვლევარი*

საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, ხალხური სიმღერა, თქმულება, კულტურა

საქართველო მსოფლიოში აღიარებულია როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა. შემორჩენილია მატერიალური და არამატერიალური კულტურული ძეგლები, რომელთა ნაწილიც შედის „UNESCO“-ს მიერ მსოფლიოში აღიარებულ ძეგლთა სიაში. ერთ-ერთი არამატერიალური კულტურული ძეგლი ქართული ხალხური სიმღერაა, რომელიც 2001 წელს შევიდა UNESCO-ს ჩამონათვალში.

მსოფლიოში არსებობს უძველესი კულტურის მქონე ერები, რომლებსაც შემონახული აქვთ თავიანთი ფოლკლორი. ზოგიერთ ქვეყანაში გვხვდება მხოლოდ ერთხმიანი სიმღერები, ორხმიანი და ა.შ. საქართველო ამ მიმართულებით იმით გამოირჩევა, რომ ქართულ ფოლკლორში არის როგორც ერთხმიანი, ისე ორ-, სამ- და ოთხმიანიც კი. სასულიერო მუსიკალური კუთხით კი ხუთი და ექვსხმიანი საგალობლებიც არსებობდა (დღეის მდგომარეობით მხოლოდ ხუთხმიანი საგალობლებია შემორჩენილი).

მეცნიერებამ გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, აუარებელ მასალას მოუყარა თავი, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ზემოთ ხსენებული მასალის ამსახველი ექსპედიციები დაცულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმსა თუ არქივში, როგორც აუდიო- და ვიდეოჩანაწერის, ისე წერილობითი სახით. ამ აუარებელ მასალას შორის არის ხალხური ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, ლექსები, სიმღერები, ცეკვები და ა.შ. ჩამოთვლილთაგან უამრავი უკვე რამდენჯერმე გამოცემული ფოლკლორისტიკების მიერ, თუმცა თქმულებები სიმღერების შესახებ მხოლოდ ერთ ნიგნად არის გამოცემული (გიორგი სვანიძე, „ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი“) და ისიც არასრულად ასახავს სიმღერებთან დაკავშირებულ თქმულებებს, რადგან მხოლოდ ინფორმაციით შემოიფარგლება.

საგანგებოდ მივიჩნევთ იმ საკითხს, რომ ყველაზე ცნობილ სიმღერებთან დაკავშირებული თქმულებებიც კი არ არის გადამოწმებული და დაზუსტებული, უმეტეს შემთხვევაში კი არცაა მოძიებული. თითქმის არცერთი ხალხური სიმღერის შემსრულებელს, ფოლკლორისტიკსა თუ ეთნომუსიკოლოგებს არ გააჩნიათ სრული ინფორმაცია იმ სიმღერების შესახებ, რომლებითაც საქართველო და ქართული ხალხური სიმღერა გვეამაყება: მაგალითად, არ გვაქვს დაზუსტებული და სრულად მოძიებული ინფორმაცია, „ჩაკრულოს“, „გაფრინდი შავო მერცხალოს“, „წინწყაროს“, „ცანგალა და გოგონას“, „ოროველას“ და ამგვარი სიმღერების შესახებ, რომლის ცოდნა, როგორც მსმენელს, ისე მომღერალს უმაღლესს გააზრებას ამ სიმღერების შესახებ.

ჩვენი კვლევის მიზანია, ყველა არსებული ინფორმაციის მოძიება, რომელიც დაკავშირებული იქნება ქართული ხალხური სიმღერების წარმოშობასთან, შესრულების მანერასთან, არის თუ არა რომელიმე კონკრეტული სიმღერა სხვა კუთხის ან სხვა კულტურის გავლენის ქვეშ და ა.შ. მოხდეს ამ საკითხის კომპლექსური შესწავლა, სისტემატიზაცია და ნიგნად გამოცემა, რომელიც აუცილებლად უნდა ითარგმნოს უცხო ენაზე, რათა მოხდეს მეტი პოპულარიზაცია შეგროვილი მასალის. ეს ნიგნი კი აუცილებლად დაეხმარება როგორც პროფესიონალ მუსიკოსებს, ასევე, ქართული ხალხური სიმღერების მოყვარულთ ან თუნდაც ხალხური სიმღერით ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მრავალკუთხედებისა და მრავალწახნაგების ტრიანგულაციები

შალვა ბერიაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტიურა, მე-2 კურსი*

საკვანძო სიტყვები: კომბინატორიკა, ტრიანგულაციები, მრავალწახნაგები

წარმოდგენილ თეზისში ჩვენ განვიხილავთ კომბინატორული გეომეტრიის ერთ-ერთი ძირითად ამოცანას, კერძოდ, მარტივი მრავალკუთხედების და მრავალწახნაგების ტრიანგულაციებს დამატებითი წვეროების გარეშე.

შევნიშნოთ, რომ მრავალკუთხედის ტრიანგულაციას დამატებითი წვეროების გარეშე ვუწოდებთ მოცემული მრავალკუთხედის დაყოფას ისეთ სამკუთხედად, რომელთაც საერთო ექნებათ არაფერი, წვერო ან წიბო. ხოლო მრავალწახნაგას ტრიანგულაცია დამატებითი წვეროების გარეშე ვუწოდოთ ამ მრავალწახნაგას დაყოფას ისეთ ტეტრაედრებად, რომელთაც საერთო ექნებათ არაფერ, წვერო, წიბო ან წახნაგი.

მრავალკუთხედისა და მრავალწახნაგების ტრიანგულაციების შესწავლა და მათი გამოყენებები სხვადასხვა ტიპის ამოცანების კვლევაში საკმაოდ საინტერესო საკითხს წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად კი სამგანზომილებაში მოცემული პოლიედრების ტრიანგულაციის ამოცანები.

ტრიანგულაციათა რიცხვის დათვლა ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა R^3 სივრცეში. თუ სიბრტყეში შესაძლებელია ტრიანგულაციათა ზუსტი რიცხვის დადგენა, ანალოგიური შედეგი არ არის სამართლიანი R^3 .

ამ ტიპის ამოცანების შესასწავლად ჩვენ ვიყენებთ როგორც ალგებრულ და გეომეტრიულ სტრუქტურებს, ასევე კომბინატორულ და ალგორითმულ მეთოდებს.

ურანგო სკოლემიზაცია

ლია კურტანიძე

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დოქტორანტურა, მე-3 კურსი*

საკვანძო სიტყვები: ურანგო ლოგიკა, სემანტიკური ქსელი, კვანტორი, ტაბლო კალკულუსი, სკოლემიზაცია

სკოლემიზაცია კარგად ცნობილი მეთოდია უარყოფის პრინციპზე დაფუძნებულ მტკიცებათა თეორიაში ეგზისტენციალური კვანტორების აღმოსაფხვრელად. მას ზოგჯერ გაგრძელების მეთოდსაც უწოდებენ, რადგან ფორმულის ჩანანერში შემოაქვს ახალი სიმბოლოები. სკოლემიზაციის ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია ისაა, რომ ის კარგავს ლოგიკურ ექვივალენტობას, მაგრამ ინარჩუნებს ექვივალენტობის სიმრავლეს ან მოქმედებს.

სკოლემიზაციის პროცედურა კარგადაა შესწავლილი კლასიკურ პირველი რიგის, შეზღუდვებიან, ლუკაშევიჩის, ინტუიციონისტურ, ფაზი, ალბათურ და მსგავს ლოგიკებში.

ამ მოხსენების მიზანია განსაზღვროს სხვადასხვა სახის სკოლემიზაციის პროცედურა ურანგო ლოგიკისათვის და იმსჯელოს სკოლემ ნორმალური ფორმის მტკიცებათა კომპლექსურობაზე.

ურანგო ენები დაფუძნებულია ურანგო აღფაბეტზე, სადაც ფუნქციონალურ და/ან პრედიკატულ სიმბოლოებს არ აქვთ ფიქსირებული ადგილიანობა. ამდენად ასეთ ენებში, ტერმებში ან ფორმულებში შესაძლებელია შეგვხვდეს ერთი და იგივე ფუნქციონალურ/პრედიკატული სიმბოლოები სხვადასხვა რაოდენობის არგუმენტებით. ასეთ ენებს დამატებითი ძალა ეძლევათ მიმდევრობითი ცვლადებითა და მიმდევრობითი ფუნქციებით. მიმდევრობითი ცვლადები შეიძლება წარმოიქმნას სასრული მიმდევრობით ტერმებისგან, ხოლო მიმდევრობითი ფუნქციები ინტერპრეტირებულია როგორც მრავალმნიშვნელობიანი ფუნქციები. ასეთი აგებები გამოიყურება როგორც მაღალი რიგის, მაგრამ მათ აქვთ კარგად განსაზღვრული პირველი რიგის სემანტიკა.

ბოლო ნაწილში, მიმდევრობითი ცვლადების და ურანგო სიმბოლოების გამოყენება ილუსტრირებულია პრაქტიკულ XML-ის აპ-

ლიკაციებში, სქემების გარდაქმნის ოპერაციებში, ცოდნის წარმოდგენაში, ავტომატური მსჯელობისას, გადანერაში, ფუნქციონალურ, ლოგიკურ და წესებზე დაფუძნებულ პროგრამირებაში და სხვა. ამგვარად, ერთის მხრივ კარგადაა ცნობილი, რომ ტაბლო კალკულუსის მეთოდი ფართოდ გამოიყენება სემანტიკურ ქსელში მსჯელობისას და ცოდნის წარმოდგენისას, ხოლო მეორეს მხრივ სკოლემიზაციის პროცედურა გადამწყვეტია ტაბლო მეთოდისთვის. წინა ნამუშევარში წარმოდგენილი გვექონდა ტაბლო კალკულუსი ურანგო ლოგიკისათვის, მაგრამ სკოლემიზაციის პროცედურა არ გვექონდა მოცემული. ამ პრეზენტაციაზე ვაჩვენებთ, რომ სკოლემიზაცია არ არის მხოლოდ მარტივი, უმნიშვნელო წინასწარი დამუშავების ნაბიჯი, არამედ არის გამოყვანის პროცესის განუყოფელი ნაწილი, რადგან არასწორად შერჩეულმა სკოლემიზაციის მეთოდმა შეიძლება გაანადგუროს ფორმულაში შენახული ლოგიკური ინფორმაცია.

მცირე სიმრავლეები ალგებრული ჯამების მიმართ

ლიკა ბერაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი, მე-4 კურსი

საკვანძო სიტყვები: სიმრავლე, კატეგორია, ალგებრული ჯამი

წარმოდგენილი მოხსენება ეხება მცირე სიმრავლეების ყოფაქცევას სიმრავლურ-თეორიული და ჯგუფური ოპერაციების მიმართ. ვთქვათ, \mathbf{R} არის ნამდვილ რიცხვთა ლერძი და λ არის ლებეგის სტანდარტული ზომა \mathbf{R} -ზე. I სიმბოლოთი აღვნიშნოთ \mathbf{R} -ის ქვესიმრავლეთა σ -იდეალი, რომელიც წარმოქმნილია ლებეგის ნული ზომის სიმრავლეებით, ხოლო I' -ით აღვნიშნოთ \mathbf{R} -ის ქვესიმრავლეთა ისეთი იდეალი, რომელიც წარმოქმნილია პირველი კატეგორიის სიმრავლეებით. ცნობილია, რომ I და I' ჩაკეტილია თვლადი გაერთანების ოპერაციის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მცირე სიმრავლეები (ნული ზომის სიმრავლე-

ბი, პირველი კატეგორიის სიმრავლეები) მდგრადია სიმრავლურ-თეორიული ოპერაციების მიმართ.

ვთქვათ, C აღნიშნავს კანტორის სიმრავლეს ლერძზე. ცნობილია, რომ C არის ლებეგის ნული ზომის სიმრავლე და ასევე არსად მკვრივი სიმრავლე R -ზე. შემდეგი ალგებრული ჯამი

$$C + C = \{x + y : x \in C, y \in C\}$$

ემთხვევა $[0,2]$ ჩაკეტილ ინტერვალს, ხოლო სხვაობით წარმოქმნილი სიმრავლე

$$C - C = \{x - y : x \in C, y \in C\}$$

ემთხვევა $[-1,1]$ ჩაკეტილ ინტერვალს.

ყოველივე აქედან ვასკვნით, რომ ლებეგის ნული ზომის სიმრავლეებით წარმოქმნილი იდეალი და არსად მკვრივი სიმრავლეებით წარმოქმნილი იდეალი არ არის ჩაკეტილი ალგებრული ჯამის ოპერაციის მიმართ.

მოყვანილი მაგალითები არიან ყველაზე მარტივი და ისტორიულად პირველი, რომლებიც გვიჩვენებენ რომ ნამდვილ რიცხვთა ლერძის მცირე ქვესიმრავლეების ალგებრული ჯამები გვაძლევს დიდ სიმრავლეს (როგორც ზომის, ასევე ტოპოლოგიური თვალსაზრისით). კერძოდ, ალგებრული ჯამების გარკვეული დესკრიფციული თვისებები არ არის მდგრადი ამ ოპერაციების მიმართ.

მართებულია შემდეგი შემდეგი წინადადება.

თეორემა. არსებობს $X \subset R$ სიმრავლე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- (1) X არის ლებეგის ნული ზომის სიმრავლე;
- (2) X არის პირველი კატეგორიის სიმრავლე;
- (3) $X + X = X - X = R$.

გამოყენებული ლიტერატურა

1. J. Oxtoby, Measure and Category, Springer-Verlag, New York-Berlin, 1971.
2. A. Kharazishvili, Topics in Measure Theory and Real Analysis, Atlantic Press/World Scientific, 2009.

სიურექციული ჰომომორფიზმების მეთოდი და გამოყენებები

მარია ხაჩიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: სიურექციული ჰომომორფიზმების მეთოდი, ინვარიანტული ზომა

ვთქვათ, (G_1, μ_1) და (G_2, μ_2) არის ორი ჯგუფი, რომლებიც აღჭურვილნი არიან σ -სასრულო ინვარიანტული ზომებით და ვთქვათ,

$$\varphi: G_1 \rightarrow G_2$$

არის სიურექციული ჰომომორფიზმი.

დავუშვათ, რომ $X \subset G_2$ სიმრავლე ფლობს რაიმე $P(X)$ თვისებას. გარკვეულ შემთხვევებში გვაქვს შემდეგი ექვივალენტურობა

$$P(\varphi^{-1}(X)) \Leftrightarrow P(X).$$

კერძოდ, თუ φ ემთხვევა კანონიკურ სიურექციულ ჰომომორფიზმს

$$pr_2: H \times G_2 \rightarrow G_2$$

მაშინ ვლტებულობთ პირდაპირი ნამრავლების მეთოდს, სადაც $H \subset G_1$ და G_1 -ს როლში გამოდის $H \times G_2$ ნამრავლი.

ახლა ვთქვათ, $\{Y_i: i \in I\}$ არის G_2 -ის μ_2 -ზომადი სიმრავლეთა არათვლადი ოჯახი. მართებულია შემდეგი ტოლობა

$$\nu(\varphi^{-1}(Y_j \odot Y_k)) = \mu(Y_j \odot Y_k),$$

სადაც ν არის ზომა, რომელიც შეესაბამება μ -ს სიურექციული ჰომომორფიზმის დროს,

$j \in I, k \in I$ და „ \odot “ სიმბოლოთი აღნიშნულია ძირითადი სიმრავლურ-თეორიული ოპერაცია (გაერთიანება, თანაკვეთა, სხვაობა, სიმეტრიული სხვაობა და ა. შ.).

მართებულია შემდეგი წინადადება:

ვთქვათ, (G_1, \cdot) და (G_2, \cdot) არის ორი არათვლადი ჯგუფი. დავუშვათ, რომ G_2 აღჭურვილია σ -სასრულო G_2 -ინვარიანტული ზომით და ვთქვათ,

$$\varphi: G_1 \rightarrow G_2$$

არის სიურექციული ჰომომორფიზმი G_1 -დან G_2 ჯგუფში. განვიხილოთ სიმრავლეთა შემდეგი ოჯახი

$$S = \{\varphi^{-1}(Y) : Y \in \text{dom}(\mu)\}$$

და განვსაზღვროთ ν ფუნქციონალი

$$\nu(\varphi^{-1}(Y)) = \mu(Y)$$

პირობით, სადაც $Y \in \text{dom}(\mu)$

თუ μ ზომა ფლობს რაიმე სიმრავლურ-თეორიულ თვისებას, მაშინ ν ზომასაც გააჩნია იგივე თვისება.

დინამიკის კოშის ამოცანის შესახებ

დიანა ივანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მათემატიკის დოქტორი

მარეხ ივანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მათემატიკის დოქტორი

საკვანძო სიტყვები: თერმოელექტრომაგნეტოდრეკადობა, ფსევდოდო-ფერენციალური განტოლებები, ბზარის ამოცანა, ფუნდამენტური ამონახსენი, პოტენციალთა მეთოდი

მოხსენებაში გამოკვლეულია თერმოელექტრომაგნეტოდრეკადობის დინამიკის კოშის ამოცანის ამონახსნის არსებობის საკითხი მთელი სივრცისათვის.

კოშის ამოცანა. ვიპოვოთ არაერთგვაროვანი დიფერენციალური

$$A(\partial_x, \partial_t) U(x, t) = F(x, t), \quad (1)$$

განტოლების ისეთი $U = (u, \varphi, \psi, \vartheta)^T$ ამონახსენი, რომლის კომპონენტებიც აკმაყოფილებენ შემდეგ საწყის პირობებს:

$$u_k(x, t)|_{t=0} = u_k^{(0)}(x), \quad \left. \frac{\partial u_k(x, t)}{\partial t} \right|_{t=0} = u_k^{(1)}(x), \quad x \in \mathbb{R}, \quad (2)$$

$$\vartheta(x, t)|_{t=0} = \vartheta^{(0)}(x), \quad \left. \frac{\partial \vartheta(x, t)}{\partial t} \right|_{t=0} = \vartheta^{(1)}(x), \quad x \in \mathbb{R}, \quad (3)$$

პოტენციალთა მეთოდითა და ინტეგრალურ ოპერატორთა თეორიის გამოყენებით შესწავლილია და დადგენილია კოშის ამოცანის ამონახსნის არსებობის პირობები. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ კოშის ამოცანას გააჩნია ერთადერთი ამონახსენი ფუნქციითა $[C^{1,\beta}(\bar{\Omega}^+)]^7$ $[C^{2,\alpha}(\Omega^+)]^7$ კლასში და წარმოიდგინება ორმაგი ფენის პოტენციალით:

$$U(x) = W(g)(x) = \int_S [P(\partial_y, n(y)) (x - y)] g(y) dS_y, \quad x \in R^3 \setminus S$$

სადაც $g \in [C^{1,\beta}(S)]^7$ განისაზღვრება ცალსახად ამოხსნადი განტოლებიდან:

$$\frac{1}{2} g(x) + N g(x) = f(x), \quad x \in S.$$

გამოყენებული ლიტერატურა

1. Aouadi M., (2007), On the coupled theory of thermo-magnetoelasticity, Q.J. Mech. Appl. Math. 25-43.
2. Aouadi M., (2008), Some theorems in the generalized theory of thermo-magnetoelasticity under Green-Lindsay's model, Acta Mech., 25-43.
3. Green A.E., Lindsay K.A., (1972), Thermoelasticity, J. Elast. 2, 1-7.
4. Buchukuri T., Chkadua O., Natroshvili D., (2016), Mathematical problems of generalized thermo-electro-magneto-elasticity theory, MDMP, Vol.68, 1-166.
5. Li J.Y., (2001), Magnetoelastic multi-inclusion and inhomogeneity problems and their applications in composite materials, Int. J. Eng. Sci., 1993-2011.
6. Li J.Y., (2003), Uniqueness and reciprocity theorems for linear thermo-electro-magneto-elasticity, Quart. J. Mech. Appl. Math., No.1, 35-43.

თერმოდრეკადობის თეორიის ნეიმანის ამოცანა
მიკროტემპერატურის გათვალისწინებით

თორნიკე ცერცვაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მაგისტრატურა, მე-2 კურსი*

საკვანძო სიტყვები: თერმოდრეკადობა, მიკროტემპერატურა, ჰარმონიული, მეტაჰარმონიული, თანაბრადკრებადი

ნაშრომში განხილულია თერმოდრეკადობის თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვანი სისტემა:

$$\begin{aligned} \mu \Delta u(x) + (\lambda + \mu) \operatorname{grad} \operatorname{div} u(x) - \gamma \operatorname{grad} \theta(x) &= 0, \\ \alpha_6 \Delta w(x) + (\alpha_5 + \alpha_4) \operatorname{grad} \operatorname{div} w(x) - \alpha_3 \operatorname{grad} \theta(x) - \alpha_2 w(x) \\ &= 0, \\ \alpha \Delta \theta(x) + \alpha_1 \operatorname{div} w(x) &= 0, \end{aligned}$$

მიღებულია მოცემული სისტემის ზოგადი ამონახსნი $U = (u, w, \theta)^T \in C^2(\Omega)$, გამოსახული სამი ჰარმონიული და ორი მეტაჰარმონიული ფუნქციის საშუალებით.

$$\begin{aligned} u(x) &= \gamma \alpha_2 \operatorname{grad} r^2 \Phi_0(x) + \operatorname{grad} \Phi_1(x) + a \operatorname{grad} r^3 \frac{\partial}{\partial r} \Phi_2(x) + \\ &\quad + \operatorname{rot} \operatorname{rot} (x r^2 \Phi_2(x)) + \gamma \alpha_1 \operatorname{grad} \Phi_3(x) + \chi(x), \\ w(x) &= -4 \alpha_3 \lambda_0 \operatorname{grad} \left(r \frac{\partial}{\partial r} + 1 \right) \Phi_0(x) - \alpha \lambda_0 \lambda_1^2 \operatorname{grad} \Phi_3(x) \\ &\quad + \operatorname{rot} \Phi_4(x), \\ \theta(x) &= 4 \lambda_0 \alpha_2 \left(r \frac{\partial}{\partial r} + 1 \right) \Phi_0(x) + \alpha_1 \lambda_0 \lambda_1^2 \Phi_3(x). \end{aligned}$$

მოცემული განტოლებათა სისტემისათვის ამოხსნილია ნეიმანის სასაზღვრო ამოცანა, მთელი სიბრტყისათვის ნრიული ხვრელით, მიკროტემპერატურის გათვალისწინებით. დამტკიცებულია ამ ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის თეორემა.

ნაშრომში განხილული ნეიმანის ამოცანის ამოხსნა მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრადკრებადი შემდეგი მწკრივის საშუალებით:

$$\Phi_j(x) = \sum_{k=0}^{\infty} \left(\frac{R}{r} \right)^k \left(a_k^{(j)} \cos k + b_k^{(j)} \sin k \right), \quad j = 0, 1, 2,$$

$$\Phi_3(x) = \sum_{k=0}^{\infty} h_k(\lambda_1 r) \left(a_k^{(3)} \cos k + b_k^{(3)} \sin k \right),$$

$$\Phi_4(x) = \sum_{k=0}^{\infty} h_k(\lambda_2 r) \left(a_k^{(4)} \cos k + b_k^{(4)} \sin k \right).$$

გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე
ლევან იოსელიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა

საკვანძო სიტყვები: გეოლოგია, გარემოს დაცვა, ჰესი

ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა დაკავშირებულია გარემოს პირვანდელი სახის ცვლილებასთან. პროექტის განხორციელების პარალელურად იცვლება და ზემოქმედებას განიცდის არსებული ეკოსისტემა, რომლის ჯაჭვურ რგოლში მონაწილეობს გარემოს შემადგენელი ყველა კომპონენტი. ზემოქმედებას ექვემდებარება და ცვლილებას განიცდის მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმი, ბიოლოგიური გარემო, ფლორა, წყლისა და ხმელეთის ფაუნა. აქტიურდება გეოდინამიკური პროცესები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულ საკითხს სჭირდება სათანადო შესწავლა, ზემოქმედების ხარისხის შეფასება. შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების დასახვა.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით საქმინობის განმახორციელებელი ვალდებულია მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, სადაც განხილული უნდა იყოს ზემოთაღნიშნული საკითხები, რის საფუძველზეც საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიიღებს შესაბამის გარემოსდაცვით გადამწყვეტილებას.

მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე დიდ ზეგავლენას განიცდის მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმი. კაშხლების მშენებლობა იწვევს მდინარის კონკრეტული მონაკვეთის ფორმირებას. კაშხლის ზედა ბიეფში წყალსაცავის შექმნა აყალიბებს ახალ ეკოლოგიურ გარემოს. ქვედა ბიეფში მცირდება მდინარის ჰიდროლოგიური ხარჯი, რაც ზემოქმედებს მდინარის ფაუნაზე.

წყალსაცავების შექმნა დაკავშირებულია გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებასთან. გეოლოგიური გარემოს შესწავლა, საშიში პროცესების იდენტიფიცირება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა, გარემოს დაცვის უმთავრესი ამოცანაა. სწორად დაგეგმილი და განხორციელებული გეოლოგიური კვლევები, კაშხლების უსაფრთხო ექსპლუატაციის ნინაპირობაა და ამ მიმართულებით მონიტორინგი უნდა გაგრძელდეს უწყვეტ რეჟიმში ჰიდროტექნიკური ნაგებობების ექსპლუატაციის პარალელურად.

ინჟინერია და ტექნოლოგიები

ცხელი დანწევვის პროცესის ზოგიერთი ტექნოლოგიური პარამეტრის გაუმჯობესების გზები

თენგიზ ფხალაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დოქტორანტიურა, მე-2 კურსი

ზურაბ ავალიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


ინჟინერიის დოქტორი მასალათმცოდნეობაში

საკვანძო სიტყვები: ცხელი დანწევვა, წნევა, კონსტრუქციის სიხისტი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია ახალი მასალების შექმნისა და მათი ეფექტური გამოყენების გარეშე. ახალი მასალების და კომპოზიციების შექმნა მოითხოვს ახალი ეფექტური ტექნოლოგიების შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. კომპოზიციური მასალები, თავიანთი ბუნებით და პოტენციალური შესაძლებლობებით ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მასალათა კლასს განეკუთვნებიან. მათ რიგში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ლითონკერამიკულ და ალმასკომპოზიციურ მასალებს. მათი ხარისხი და ექსპლუატაციური მაჩვენებლები დამოკიდებულია კომპოზიციის შემადგენლობაზე და რაც მთავარია მათი მიღების ტექნოლოგიის დონეზე. დღეისათვის ლითონკერამიკული ან ალმასკომპოზიციის მიღებისას ყველაზე გამოყენებადი ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდია. აქედან ყველაზე პროგრესული და ეფექტურია ცხელი დანწევვის პროცესი, რაც გულისხმობს შეცხოების პროცესის წარმართვას მაღალი წნევის პირობებში. მაღალი წნევის და მისი სიდიდის ფაქტორი იძლევა საშუალებას მკვეთრად ამალღდეს მიღებული ნაკეთობის ხარისხი (მაღალი სიმკვრივე, დაბალი ფორიანობა, მაღალი ფ/მ თვისებები) ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მიღებულ იქნას ისეთი მასალები რომელთა მიღებაც სხვა მეთოდებით შეუძლებელია. ცხელი დანწევვისას გამოყენებული წნევების დიაპაზონის გაზრდა სასურველი პერსპექტივაა, მაგრამ შეზღუდულია როგორც გამოყენებული პრესყალიბის მასალის (ფოლადი, გრაფი-

ტი) სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობებით მაღალი ტემპერატურისას ($700-1000^{\circ}\text{C}$) ასევე თვით პრესფორმის და მთლიანი ალჭურვილობის (ანანყობის) კონსტრუქციული გადანყვევით.


წარმოდგენილ სამუშაოში მოყვანილია ცხელი დაწნეხვის ალჭურვილობის გაუმჯობესების ზოგიერთი კონსტრუქციული გადანყვევება. კერძოდ მაღალი წნევის უჯრედში წნევის გენერაციის პროცესში აბსოლუტური წნევის მაჩვენებლის დანაკარგის ΔP თავიდან აცილების მიზნით შეცვლილია დასაშლელი პრესფორმის დაჭერის პრინციპიალური სქემა.



ნახ.№1. ცხელი დაწნეხვის არსებული სქემა.

- 1 - დამჭერი რგოლი; 2 - ხრახნები; 3 - გრაფიტის წნეხ-ფორმა; 4 - თბო- და ელექტროიზოლატორები.


ნახ.№1-ზე მოყვანილი სქემით რადიალური ხრახნდამჭერები (ნახ. 1. 2.) წარმოადგენენ ასანყობი პრესფორმის წნევის ზემოქმედებით გაშლისგან დამცავ ძალოვან ელემენტს. გათვლებმა აჩვენა, რომ პრესფორმის კედელზე მუშა პროცესის დროს განვითარებული წნევისას ($P=500-1000$ კგ/მმ²) მოდებული დაწოლა შეადგენს $25-30$ გ/დ. ასეთი ძალის სრული კომპენსირებისათვის ($\Delta P=0$) ხრახნის დიამეტრი უნდა იყოს არა ნაკლებ $\Phi 40-45$ მმ. რაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.



ნახ.№2. შეუღლებული კონუსების წყვილი.
1-კონუსების წყვილი; **2** - დამჭერი რგოლის კედელი; **3** -
 წნეხფორმის კედელი.

ნახ.№2-ზე მოყვანილია ჩვენს მიერ შეთავაზებული და აპრობირებული ორი კონუსის პრინციპი. ოპტიმალური დახრის კუთხით ($1,5-1,80^{\circ}\text{C}$), ჩანაცვლებულმა სქემამ საშუალება მოგვცა უდანაკარგოდ განგვევითარებინა მუშა მოცულობაში სანადელი წნევები ($500-1000\text{კმ/მმ}^2$) ანყობილი წნეხფორმის დეტალების ძვრადობაზე და მნიშვნელოვან დრეკად დეფორმაციებზე დანაკარგების გარეშე ე.ი. ($\Delta P=0$).

გამოყენებული ანაწყობის სქემამ შესამჩნევად გაზარდა ერთი და იგივე პირობებში (P, T, τ) მიღებული ცხობილების ხარისხი, რაც მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ გაიზარდა წნევის შექმნისათვის საჭირო აღჭურვილობის სიხისტე და შესაბამისად სტაბილურობა. ნახ.№3



ნახ. №3. ცხოვილის თვისებების დამოკიდებულება შეცხოვის პროცესის წნევაზე.

1 – არსებული სქემით (ნახ.1); **2** – შემუშავებული და შემოთავაზებული სქემით (ნახ.2)

გამოყენებული ლიტერატურა

1. . . . , . . . , . . . - -

“

” , 2009, 226 .
2. . . . , . . . , . . . , . . . -

..

“ , 24-2

” , 2011, .201-208.

აგრარული მეცნიერებები

საფერავის ფლავონოიდების ეფექტები კაინის მჟავას
ეპილეფსიური სტატუსით განპირობებულ ბიოქიმიურ
ცვლილებებზე

*მაკა ლემონჯავა
ზ. ქურუკაშვილი
მ. ქურასბედიანი
ნ. დორეული
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვა: ღვინო, ფლავონოიდი, ეპილეფსია, კაინის მჟავა, ოქსი-
დაციური სტრესი

ეპილეფსია ქრონიკულ-ნევროლოგიური დაავადებაა, რომელიც გვხვდება მსოფლიო მოსახლეობის 1%-ში. ეპილეფსიის პათოგენეზში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ჟანგვით სტრესს. ჟანგვითი სტრესის დროს იზრდება თავისუფალი რადიკალების წარმოქმნა, რომლებიც აზიანებენ ცოცხალი ოგანიზმის სასიცოცხლო კომპონენტებს და იწვევენ უჯრედის დაზიანებას და საბოლოოდ ორგანიზმის დაღუპვას. ეპილეფსიური პათოგენეზის შესუსტებისთვის, მიმართავენ ანტიოქსიდანტურ და ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობას და ამით ამცირებენ ან ბლოკავენ ნეიროდეგენერაციული პროცესების წარმართვას.

ოქსიდაციური სტრესისგან თავდასაცავად ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია ანტიოქსიდანტური სისტემები, რომლებიც ფერმენტულ და არაფერმენტულ სისტემებად იყოფა. არაფერმენტული სისტემას მიეკუთვნება ფლავონოიდური ნაერთები.

ფლავონოიდები წარმოადგენენ მცენარეული წარმოშობის მეორეულ მეტაბოლიტებს. ქიმიური თვალსაზრისით არიან პოლიფენოლები. ისინი ამცირებენ თავისუფალრადიკალური პროცესების ინტენსივობას. ჟანგბადის აქტიური ფორმების უვნებლყოფით ფლავონოიდებს შეუძლიათ ორგანიზმის დაცვა ოქსიდაციური სტრესისგან.

მცენარეებში ისინი მონაწილეობენ ფოტოსინთეზში, დამცველობით ფუნქციებში, ლიგნინის წარმოქმნაში და ა.შ. ადამინის ორგანიზმში კი ავლენენ ანტიოქსიდანტურ აქტივობას, არეგულირებენ ლიპიდურ ცვლას, ახასიათებთ ანთების საწინააღმდეგო და ანტიალერგიული მოქმედება და სხვ. მოქმედების ასეთმა ფართო სპექტრმა განაპირობა უდიდესი ინტერესი ფლავონოიდების მიმართ.

ფლავონოიდების მრავალფეროვან ეფექტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ნეიროპროტექტორულ როლს. ფლავონოიდებით ტვინის ფუნქციების მოდულაციისთვის მნიშვნელოვანია მათ მიერ ჰემატოენცეფალური ბარიერის გადალახვის უნარი, ეს უნარი დაკავშირებულია მათ ლიპოფილურობაზე, ასევე მათ ურთიერთობაზე სპეციფიკურ გადამტან მოლეკულებთან, რომელიც წარმოდგენილია ჰემატოენცეფალურ ბარიერში.

ფლავონოიდების მაღალი შემცველობით ხასიათდება მწვანე ჩაი, კენკროვნები, შოკოლადი, წითელი ღვინო და ა.შ. ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, ღვინის დადებითი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, გარკვეულწილად გამოწვეულია მასში ფენოლური ნაერთების შემცველობით, ღვინო უკვე ფართოდ განიხილება როგორც ფუნქციური საკვები და მისი ხარისხის შეფასებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ბიოლოგიურად აქტიურად ნაერთებს, მათ შორისაა ფენოლური ნაერთები. წითელ ღვინოში აღმოჩენილია მთელი რიგი ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ორგანული ნაერთები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქართული ენდემური ყურძნის ჯიშის „საფერავის“ ღვინიდან გამოყოფილი ფლავონოიდების ანტიოქსიდანტური თვისებების შესწავლა და მათი გავლენა ვირთაგვას თავის ტვინის ანტიოქსიდანტურ სისტემებზე, კანინის მჟავით გამონვეულ ეპილეფსიურ მოდელში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესრულდა შემდეგი ამოცანები: ფლავონოიდების ექსტრაქცია, გამოყოფილი ფლავონოიდებს ექსტრაქტის სპექტროსკოპიური დახასიათება, ანტიოქსიდანტური თვისებების შესწავლა, ექსტრაგირებული ფლავონოიდების გავლენის შესწავლა ვირთაგვის თავის ტვინის ანტიოქსიდანტურ ფერმენტებზე კანინის მჟავით გამონვეულ ეპილეფსიურ მოდელში.

მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქართული ენდემური ყურძნის ჯიშის „საფერავის“ ღვინიდან გამოყოფილი ფლავონოიდური მრავალკომპონენტიანი ფრაქცია, ჟანგბადის აქტიური ფორმების შებოჭვის ხარჯზე ავლენს ძლიერ ანტიოქსიდანტურ აქტივობას, როგორც *in vitro*, ისე *in vivo* სისტემებში.

ღვინიდან გამოყოფილი ფლავონოიდების ფრაქცია, ძლიერი ანტიოქსიდანტური თვისებების გამოვლენის ხარჯზე, მაღალი ინტენსივობით აკომპენსირებს ვირთაგვის თავის ტვინში ანტიოქსიდანტური ფერმენტების, სუპეროქსიდდისმუტაზასა და კატალაზას აქტივობას, კანინის მჟავით გამოწვეულ ეპილეფსიურ მოდელში.

ქართული ვაზის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო მევენახეობის ისტორიაში

ნანა კუნელაური

*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი,
მეცნიერი თანამშრომელი*

საკვანძო სიტყვები: ქართული ვაზი, მიტოქონდრიული დნმ, სეკვენირება

ვაზის (*Vitis L.*) წარმოშობის პროცესის შესწავლა კულტურული მცენარეების ევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია. გვარ *Vitis*-ის ბუნებრივი ჰაბიტატი ძირითადად მოიცავს სამ გეოგრაფიულ რეგიონს: ევროპას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას და ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკას. *Vitis*-ის გვარის ბუნებაში არსებული 60-მდე ურთიერთშეჯვარებადი სახეობის ორი მესამედი თავმოყრილია ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში, ერთი მესამედი კი აღმოსავლეთ აზიაში. *Vitis vinifera L.*, – ვაზის საღვინე და სასუფრე ჯიშების ძირითადი წყარო და კომერციულად ვაზის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობა დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო ევროპასა და ცენტრალურ აზიაში გავრცელებული გვარ *Vitis*-ის ერთადერთ

სახეობაა. ვანარმოეთ პლასტიდური დნმ-ის სრული თანამიმდევრობების შესწავლაზე დაფუძნებული კვლევები, სადაც ვაზის გენეტიკური შესწავლისათვის მსოფლიოს მამულებით ქართულ და კავკასიურ ნიმუშებთან ერთად პარალელურად კვლევაში ჩართული იყვნენ ამერიკული და აზიური სახეობები და ასევე, ევროპაში მოძიებული ველური ვაზის ნიმუშები. ვაზის პლასტიდური დნმ-ის სრული ნუკლეოტიდური თანამიმდევრობების შესწავლამ საშუალება მოგვცა სიღრმისეულად დაგვეხასიატებინა საკვლევი ნიმუშების წარმოშობისა და ევოლუციის საკითხები, ჩატარდა გვარ *Vitis*-ის ფილოგენეტიკური და ფილოგეოგრაფიული ანალიზი, გავარკვიეთ მისი ევოლუციის პროცესის ძირითადი დეტალები, გამოვავლინეთ ვაზის ის პოპულაციები, რომლებიც კულტურული ფორმების საფუძველს წარმოადგენდნენ. ვაზის ევოლუციის შესწავლა საინტერესოა არა მარტო ისტორიის თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ ვაზის უძველესი ველური პოპულაციების იდენტიფიკაცია ვაზის კულტურული ჯიშების სელექციაში გვეხმარება. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს სრულად წარმოვაჩინოთ ჩვენი კვლევა ქართული ვაზის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო მევენახეობის ისტორიაში.

ღვარცოფული აუზების კლასიფიკაცია და მათი გავრცელება

სანდრო საბაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი, მე-4 კურსი*

საკვანძო სიტყვები: ღვარცოფი, კატასტროფის მიზეზები, ბუნებრივი მოვლენა, დაზიანება, სტიქიური მოვლენა

მოსახლეობის მდგრადი განვითარების კონტექსტში სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალი მსოფლო მასშტაბის პრობლემას წარმოადგენს. ბუნებრივი კატასტროფების მსოფლიო კონფერენციის მონაცემების მიხედვით, დიდი ეკონომიკური ზარალის (რაც წარმოადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1 %

და მეტს) გამომწვევი კატასტროფების რაოდენობა უკანასკნელ წლებში მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა 4,1-ჯერ, დაზარალებულთა რაოდენობა 3,5-ჯერ, ხოლო დაღუპულთა 2,1-ჯერ.

კატასტროფული ღვარცოფების ძლიერ ზეგავლენას, მსოფლო მასშტაბით, პერიოდულად განიცდის მრავალი დასახლებული პუნქტი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, გზები, ნავთობ და გაზსადენების ტრასები, ჰიდროტექნიკურ-სამელიორაციო ობიექტები, სამთო-ტურისტული კომპლექსები და სხვ. სტიქიის სამიშროების არეალში მოქცეულია მთისა და მთისწინა რეგიონებში განთავსებული დასახლებული პუნქტები, სადაც გეოეკოლოგიური სიტუაცია გართულებულია.

საქართველოს მთიან ტერიტორიაზე ღვარცოფული პროცესები თითქმის ყველგან არის გავრცელებული და შემდეგ რეგიონებს მოიცავს: სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, აჭარის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და კახეთის.

სხვადასხვა წყაროების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, საქართველოში ბოლო პერიოდში სტიქიური პროცესების მასშტაბური გააქტიურება და მათი განმეორებადობის ინტერვალების გახშირება განპირობებულია ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების გახშირებით, გარემოზე ადამიანის ანთროპოგენული ზემოქმედებით, კერძოდ: ტყის ჭრით, ინერტული მასალების მოპოვებით, პირუტყვის ჭარბი ძოვებით, უსისტემო ურბანიზაციით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ მოქმედებს სრულყოფილად სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების თანამედროვე სისტემა, ხოლო ფინანსური რესურსები ძირითადად მიმართულია სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრაზე და ძალიან მცირედ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მეტად მნიშვნელოვანია ღვარცოფული ნაკადების მოძრაობის მეცნიერული შესწავლა და შესაბამისი ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირება-მშენებლობის დროს იმ საანგარიშო დამოკიდებულებების გათვალისწინება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ღვარცოფების წარმოქმნის, ჩამოყალიბებისა და მოძრაობის პროცესის ზუსტად აღწერა.

მედიცინა და ჯანდაცვა

მაკრო- და მიკროელემენტების როლი ცოცხალ ორგანიზმში

მ. გოგალაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, პეტრე მელიქიძეის სახელობის ფიზიკური და
ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
აკადემიური დოქტორი*

ნ. ბარბაქაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
პეტრე მელიქიძეის სახელობის ფიზიკური და ორგანული
ქიმიის ინსტიტუტი
აკადემიური დოქტორი*

ნ. ხურცილავა

*„ნიუ ვიუენ“ საუნივერსიტეტო პოსპიტალი
მაგისტრი*

ი. ლომთაძე

*„ავერსი“
აკადემიური დოქტორი*

საკვანძო სიტყვები: ხელატები, ბად-ი, მაკრო-, მიკროელემენტები, გლუტამინის მჟავა

მაკრო- და მიკროელემენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ პროცესებში. ამიტომაც ე.წ. „სიცოცხლის ელემენტებმა“ მიიპყრო და იპყრობს მკვლევართა ფართო წრის ყურადღებას. აღნიშნული როლით და მნიშვნელობით აიხსნება ის, რომ როგორც ადამიანის, ისე ცხოველთა რიგი დაავადებების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი მიკროელემენტების დეფიციტია. აქედან გამომდინარე ამ პრობლემის გადაჭრაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ცოცხალი ორგანიზმის უზრუნველყოფას მიკროელემენტების ოპტიმალური რაოდენობითა და თანაფარდობით. ამასთან, რადგანაც ცოცხალ ორგანიზმში ეს ელემენტები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ ხელატური ნაერთების სახით, ამიტომ მიკროელემენტების

დეფიციტის ამ ფორმით შევსებისას ადგილი აქვს მათი ბიოლოგიური აქტივობის მკვეთრ ზრდას [1-3].

აქედან გამომდინარე ჩვენ მიერ სინთეზირებულია მაკრო და მიკროელემენტების ხელატური ნაერთები გლუტამინის მჟავასთან ზოგადი ფორმულით $Me \cdot Gl \cdot nH_2O$, სადაც $Me = Mg, Ca, Mn, Zn, Fe, Co, Cu$ და Cr , Gl^{2-} = გლუტამინის მჟავას ანიონი, $n=1-6$; შესწავლილია სინთეზირებული ნაერთების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები კვლევის რიგი მეთოდებით.

სინთეზირებული ხელატების საფუძველზე შედგენილია ნარევიები და დანამატის სახით კომბინირებულ საკვებზე გამოცდილია ბროილერისა და კვერცხმდებელი ფრინველის კვებაში. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება ექსპერიმენტის უფრო ფართო მასშტაბით ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ.

